

ნაცი სეგაძე

მონაცემების საზოგადოებრივ ცხოვლებაში: სასურველი და აუალიზებული

საქართველოს მოსახლეობის გამოქითხვის “გარემონტი 2009” ანგარიში



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
შოთა რეა სახელმწიფო საპარტნერო



თბილისი 2010
საგრადოებრივი კოლეგიას მოლიტვის მისტიკიზმი

ავტორის მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation.
Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

სარჩევი

წინასიგყვაობა.....	4
ძირითადი შედეგები.....	5
1. გამოკითხვის მეთოდოლოგია და რესპონდენტები.....	8
2. დემოკრატიული ღირებულებები.....	9
3. სამოქალაქო აქციონება.....	11
4. ცხოვრების ხარისხი.....	22
5. პოლიტიკური სიმპათიები.....	26
6. მმართველობა, ქვეყნის პრობლემები და საგარეო ორიენტაციები.....	33
7. ასაკი და მონაწილეობა.....	44
8. მონაწილეობა და მისი განხორციელების შესაძლებლობის აღქმა.....	44
9. დასკვნა.....	48
ბიბლიოგრაფია.....	48

წინასიცყვაობა

ანგარიში მომზადებულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ. გამოკითხვა განხორციელდა ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს მხარდაჭერით. გამოკითხვა მიზნად ისახავდა მოსახლეობის დამოკიდებულებების დადგენას სამოქალაქო აქტიობის, დემოკრატიისა და ლიბერალური ღირებულებების, ადამიანის უფლებათა დაცვის, მასმედიის თავისუფლების მიმართ. გამოკვლევის ყურადღების ცენტრში ასევე იყო საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართვის და სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტებისადმი ნდობის ხარისხის დადგენა, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიგუაციის აღქმა და სასურველი საგარეო ორიენტაციების იდენტიფიკაცია.

მსგავსი გამოკითხვები საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტუტიტის მიერ ჩატარებულ იქნა 2002, 2003, 2006, 2007 და 2008 წლებში. ანგარიშები განთავსებულია ინსტიტუტის ვებ გვერდზე www.ips.ge

ბევრი ადამიანი მონაწილეობდა წინამდებარე ნაშრომის შესრულებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის წამყვანი მკვლევრების - ანი ქიტიაშვილის, ეკატერინე ფირცხალავას, მაია მაისურაძის და თამარ მახარაძის მიერ გაწეული შრომა. მადლობას უუხდით ინტერვიუერებს, მონაცემების შემყვანებს და რაც მთავარია რესპონდენტებს გულწრფელი პასუხებისა და დახარჯული დროისათვის.

ძირითადი შედეგები

გამოკითხვა ჩატარდა 2009 წლის 30 ნოემბერიდან 14 დეკემბრამდე საქართველოს ყველა რეგიონში, აჭარასა და თბილისში. გამოყენებილი იყო იერარქიული შემთხვევითი შერჩევის მეთოდი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1,100-მა რესპონდენტმა.

გამოკითხვის მონაცემები მიუთითებენ, რომ:

მოსახლეობა აღიარებს დემოკრატიული დირებულებებს, მაგრამ ნაკლებად ხედავს ქვეყანაში მათი რეალიზაციის შესაძლებლობას.

სამოქალაქო აქტიონება დაბალია. ამის ერთერთი ფაქტორი სხვებისადმი ნდობის დაბალი დონეა, რომელიც საბოგადოებრივი ცხოვრებისადმი ინტერესის მსგავსად ბოლო წლების განმავლობაში განუხრელად კლებულობს.

მცირეა სამოქალაქო სექტორის ხილვადობა.

მოსახლეობის საბოგადოებრივი საქმიანობაში ჩართვა ძირითადად ახლობლებისა და ეკლესიის ინციაცივით ხდება.

ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ტელევიზიონი იღებს. თუმცა ნდობა ძირითადი საგელევიზო არხების – კური-ერის, იმედის და პირველი არხის საინფორმაციო გამოშეებების მიმართ მცირეა. ისინი ნაკლებად აღიქმებიან ხელისუფლებისგან დამოუკიდებელ მედია საშუალებებად.

მოსახლეობის ნახევარი საკუთარი ცხოვრებით არც კმაყოფილია და არც უკმაყოფილო. კმაყოფილების ყველაზე დიდ წარმოს ოჯახური ურთიერთობები, ხოლო ყველაზე მცირეს ოჯახის შემოსავალი წარმოადგენს.

ფართედ არის გავრცელებული ნიპილიგმი პოლიგიურ ძალათა მიმართ. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ნდობას ფაქტიურად ვერცერთი პოლიგიური ძალა ვერ იმსახურებს. ძალგზე მცირეა ოპოზიციის მომხრეთა წილი. აპრილ-ივლისის აქციებში ხელისუფლების ქმედებები თანაბიციის ქმედებებზე უფრო დადებითად არის შეუასებული.

დიდია უნდობლობა სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ. ხალხი ყველაზე მეტად ქართულ მართლმადიდებულ ეკლესიას ენდობა.

მოსახლეობის ძირითად საბრუნავს სიღარიბე, უსაფრთხოება და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა, მრავალი მათგანი ოჯახიდან სამუშაოდ წასული წევრის გზავნილებით ირჩენს თავს.

მცირეა ოპტიმიზმი უახლოეს წლებში 2008 წლის ომის შედეგად დევნილი მოსახლეობის საკუთარ სოფლებში დაბრუნების მიმართ, თუმცა მოსახლეობა თითქმის ერთსულოვნად ეწინააღმდეგება მათ დასაბრუნებლად ძალის გამოყენებას.

კონფლიქტის მოგვარების ეფექტურ გზად ოსებთან, აფხაზებთან და რუსებთან პირდაპირი მოლაპარაკებების წარმოებაა მიჩნეული.

საქართველოს რუსეთსა ან ა.შ.შ.-ზე ორიენტაციას შორის მოსახლეობა ამერიკაზე ორიენტაციას ანიჭებს უპირატესობას. ა.შ.შ.-ს მხარდაჭერა უფრო მეტად არის აღქმული, როგორც საქართველოს ხელისუფლების, ვიდრე საქართველოს, როგორც სახელმწიფოს დახმარება.

შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა ასაკის მნიშვნელობა შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

საბოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიხედვით ყველაზე დიდი აქტიონით 25-44 წლის რესპონდენტები გამოირჩევიან.

არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობადობა და მათი მომხიბლათა უფრო დიდია ახალგაზრდებს შორის.

ოპტიმიზმი, ბედნიერების განცდა და თვით-შეფასება ასაკთან ერთად კლებულობს, ისევე როგორც განათლების, სამსახურის, მეგობრობის, რელიგიის, პიროვნული დამოუკიდებლობის და თავისუფლი ღროის მნიშვნელობა. უფროსი ასაკის რესპონდენტებთან შედარებით ახალგაზრდები ასევე უფრო მეტად ანიჭებუნ უპირატესობას პოსტ-მაგისტრიალურ ღირებულებებს.

უნდობლობა და ნიჭილიზმი განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდებში. ხელისუფლების მომხრეთა წილი უფრო დიდია 25-44 წლის, ხოლო ოპოზიციის მომხრეთა წილი კი 45-64 წლის რესპონდენტებს შორის.

ასაკთან ერთად იზრდება უნდობლობა სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ.

საქართველოს ამერიკაზე ორიენტაციის მომხრეთა წილი ასაკთან ერთად კლებულობს.

სამოქალაქო აქტიურობა: სასურველი და მიღწეული:

დიდია მოთხოვნა დემოკრატიული პრინციპების განხორციელებაზე, მაგრამ ძალგები მცირეა მისი მიღწევის დონე. მონაწილეობის აუცილებლობის და საკუთარი ეფექტურობის შეფასებებზე დაყრდნობით გამოკვეთილი სამი ჯგუფი: „პირველი - „ეფექტურების“, მეორე - „უძლურების“ და მესამე - „ინდიურენტულები“-ს შედარებით გამოვლინდა, რომ მოსახლეობის მხოლოდ ერთი მეხუთედი ფიქრობს, რომ ზეგავლენას ახდენს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე.

შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ უძლურობის განცდა და ინდიურენტული დამოკიდებულება ფართედ არის გავრცელებული. ადამიანები, რომლებიც თავს ეფექტურად მიიჩნევენ უფრო წარმატებული არიან, მათ უფრო ხშირად აქვთ უმაღლესი განათლება, სამსახური და საარსებო მინიმუმი მაინც. ეს ჯგუფი მრავალ ასპექტში მკვეთრად განსხვავდება დანარჩენი თრი ჯგუფისაგან. პირველი და მეორე ჯგუფები მსგავსებას ამჟღავნებენ მხოლოდ ინგერესში პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ. მეორე და მესამე ჯგუფები ახლოს არიან ერთმანეთთან მრავალი მაჩვენებლისა და დამოკიდებულების მიხედვით. პირველი ჯგუფი უფრო აქტიურია, მეორე და მესამე კი უფრო უკმაყოფილო და პასიური. ორივე მიიჩნევს, რომ ხელისუფლება არ ითვალისწინებს მათ აზრს. ისინი ნაკლებ ნდობას უცხადებენ სხვებს, ნაკლებ ოპტიმისტურად არის განწყობილი. თუმცა არის ერთი ძირეული რამ, რაც ამ ორ ჯგუფს ერთმანეთისგან განასხვავებს - მეორე ჯგუფს უნდა არსებული მდგომარეობის შეცვლა, მესამეს კი არა.

კვლევამ წარმოაჩინა ქვეყანაში ზოგადდ დემოკრატიული პრაქტიკის დეფიციტი, სამოქალაქო საზოგადოების ხილვადობის სიმცირე და მოქალაქეების სამოქალაქო აქტიურობის დაბალი დონე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დემოკრატი მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, როდესაც ძალაუფლება ხალხის ხელშია, და ხალხის ხმა გაგ-

ონილია. დემოკრატიული ღირებულებების აღიარება ცალსახად დადებითი და წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ როგორც ველცელი და ინგლეპარტი მიუთითებენ დემოკრატიისადმი გამოხატული სიტყვიერი მხარდაჭერა ხშირად ასახავს მხოლოდ ადამიანის სურვილს დადებითად წარმოაჩინოს საკუთარი თავი და არა ღრმად გამჯდარ ორიენტაციას ან მოგივაციას. ლიბერალური დემოკრატია ეყრდნობა ხალხის ხმას, განსხვავებით ისეთი ცრუ დემოკრატიისა, როგორიცად არჩევითი დემოკრატია, ჰიბრიდული დემოკრატია ან ავტორიტარული დემოკრატია, სადაც ხალხის გავლენა უგულველყოფილია პოლიტიკური ელიტის მიერ (Welzel & Inglehart, 2008).

სოციალური ნდობა და ცხოვრებით კმაყოფილება, რომლის ერთერთ კომპონენტსაც საკუთარი ეფექტურობის განცდა წარმოადგენს, ქვეყანაში დემოკრატიის არსებული დონის მაჩვენებელი და სახელმწიფოს სფაბილობის გარანტია. ამდენად

უკმაყოფილო ადამიანების ის დიდი რაოდენობა, ვინც თავს უძლურად გრძნობს გავლენა მოახდინოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ემუქრება ქვეყნის სფაბილურობას. აუცილებელია ქვეყანაში სოციალური ნდობის, საზოგადოებრივი აქტიობის და ფოლერანტობის დამკვიდრება. ცხადია, რომ ამის გაკეთება ბევრად უფრო ადვილია ხელისუფლების ხელშეწყობით, მაგრამ მათი კულტივირება პოლიტიკური ელიტის ნების არ არსებობის შემთვევაშიც არის შესაძლებელია. ვფიქრობთ, რომ სწორედ აქ იკვეთება სამოქალაქო საზოგადოების როლი. მან ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, უნდა მოიპოვოს ყველა ის რესურსი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ხელისუფლებაზე ბემოქმედების მოხდენა ქვეყანაში ჭეშმარიტი, ლიბერალური დემოკრატიის დასამკვიდრებლად.

1. მეთოდოლოგია და რესპონდენტები

გამოკითხვა ჩატარდა 2009 წლის 30 ნოემბერიდან 14 დეკემბრამდე საქართველოს ყველა რეგიონში, აჭარასა და თბილისში. გამოყენებილი იყო იერარქიული შემთხვევითი შერჩევის მეთოდი. რესპონდენტების განაწილება შეესაფყისეებოდა საქართველოს მოსახლეობის განაწილებას ასაკის, სქესის, რეგიონის და დასახლების გაბის მიხედვით.

ყველა ინფერვიუ აღებული იყო პირისპირ, რესპონდენტის სახლში. წინასწარ შერჩეულ დასახლებულ პუნქტებში გამოკითხვა იწყებოდა გამოკითხვის ორგანიზაციების მიერ მითითებული საწყისი წერტილიდან, ინფერვიუერები შედიოდნენ ყოველ მეხუთე სახლში.

ცხრილი 1. რესპონდენტების განაწილება რეგიონების მიხედვით

	რეგიონი	Nº 1100 %
1	თბილისი	24,7
2	აჭარა	8,6
3	გურია	3,3
4	რაჭა-ლეჩხუმი	1,2
5	სამეგრელო-ზემო სვანეთი	10,7
6	იმერეთი	16,0
7	კახეთი	9,3
8	მცხეთა-მთიანეთი	2,7
9	სამცხე-ჯავახეთი	4,7
10	ქვემო ქართლი	11,3
11	შიდა ქართლი	7,4

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1100-მა (45.2 პროცენტი კაცი და 54.8 პროცენტი ქალი) რესპონდენტმა. გამოკითხულთა საშუალო ასაკი იყო 45.7 ($\bar{x} = 17.0$). მონაცემების ანალიზის სიცხადისათვის რესპონდენტები გაერთინებულ არიან ოთხ ასაკობრივ ჯგუფში. პირველ ჯგუფს შეადგენენ 18-24 წლის (15.1 პროცენტი), მეორეს 25-44 წლის (32.5 პროცენტი), მესამეს 45-64 წლის რესპონდენტები (36.8 პროცენტი), მეოთხეს 65 წლიდებისათვის ასაკის (15.7 პროცენტი). რესპონდენტთა შორის 5.2 პროცენტი იძულებით გადაადგილებული პირია. მათგან 3.9 პროცენტი დევნილობაშია 1992 წლიდან, ხოლო 1.3 პროცენტი 2008 წლის აგვისტოდან.

ეთნიკური თვალსაზრისით უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ (91.2 პროცენტი). სომხები და აზერბაიჯანელები შეადგენდნენ 3.4 პროცენტს თვითონეული, ყველა დანარჩენი კი 2.0 პროცენტს.

გამოკითხულთა ^67.0 პროცენტი იყო დაქორწინებული, 19.5 პროცენტი არ იმყოფებოდა ქორწინებაში, 10.5 პროცენტი იყო ქვრივი, 3.0 პროცენტი იყო გაცილე-

ბული. ოესპონდენტთა ოჯახები 1-დან 12 ადამიანისგან შედგებოდა, საშუალოდ ოჯახები 4 წევრს ითვლიდნენ ($SD=1.6$). გამოკითხულთა თითქმის ნახევარს (48.4 პროცენტი) ქონდა უმაღლესი განათლება, 48.0 პროცენტს საშუალო ან ფექნიკური, 3.6 პროცენტს საშუალობე დაბალი. უმრავლესობას (93.9 პროცენტი) შეეძლო ლაპარაკი ქართულად, 70.4 პროცენტს რუსულად, 13.5 პროცენტს ინგლისურად, 5.4 პროცენტს სომხურად, 5.1 პროცენტს აზერბაიჯანულად, 4.5 პროცენტს გერმანულად, სხვა ენას ფლობდა 3.7 პროცენტი.

გამოკითხულთა უდიდეს უმრავლესობას (89.1 პროცენტი) მართლმადიდებლები შეადგენდნენ, მაჲმადიანები შეადგენდნენ გამოკითხულთა 5.5 პროცენტს, გრიგორიანელები 2.7 პროცენტს, კათოლიკეები 1.5 პროცენტს, სხვა რელიგიის წარმომადგენლები 0.7 პროცენტს, 0.5 პროცენტი არ იყო მორწმუნე. გამოკითხულთა 37.8 პროცენტმა მიუთითა, რომ თითქმის ყოველთვის, ხოლო 31.1 პროცენტმა, რომ იშვიათად ასრულებდა რელიგიურ რიგუალებს, 29.1 პროცენტმა მიუთითა, რომ აღნიშნავდა მხოლოდ ძირითად რელიგიურ დღესასწაულებს, ხოლო 2.0 პროცენტმა, რომ არ ასრულებდა რაიმე რიგუალს.

2. დემოკრატიული ღირებულებები

საქართველოს მოსახლეობა ამჟღავნებს აშკარად დადებით დამოკიდებულებას დემოკრატიული ღირებულებების და პროცედურების მიმართ, მაგრამ ამ თვალსაბრისით ქვეყანაში არსებულ ვითარებას აფასებს, როგორც არასახარბიელოს.

გამოკითხულთა უმრავლესობას (78.8 პროცენტს) დემოკრატია მმართევლობის საუკეთესო ფორმად მიაჩნია, მაგრამ ცოდნა, ერთ მედსამედგრე ნაკლები (31.7 პროცენტი) ფიქრობს, რომ დღეს საქართველოში არის დემოკრატია.

მოქალაქეთა ჩართულობა დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. ამ შემთხვევაშიც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს (60.0 პროცენტი) მიაჩნია, რომ საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა მხოლოდ მოქალაქეთა აქციური მონაწილეობით არის შესაძლებელი, მაგრამ მაღაზე მცირე ნაწილი (19.3 პროცენტი) ფიქრობს, რომ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მთავრობის გადაწყვეტილებებზე.

უმრავლესობას (75.8 პროცენტი) მნიშვნელოვანად მიაჩნია, რომ ქვეყნის პრეზიდენტი უსმენდეს ხალხს და აკეთებდეს იმას, რასაც ხალხი მისგან მოითხოვს, მაგრამ მხოლოდ 29.6 პროცენტს მიაჩნია, რომ ხელისუფლება სწორედ ასე იქცევა.

სხვა დემოკრატიული პრინციპების განხორციელების ხარისხიც ძალგებე დაბალია. გამოკითხულთა მხოლოდ 3.6 პროცენტს მიაჩნია, რომ საქართველოს მოქალაქეები კანონის წინაშე თანასწორი არიან (53.2 პროცენტი ფიქრობს, რომ უფრო არათასწორი არიან, 18.0 პროცენტს უჭირს პასუხის გაცემა). ადამიანის უფლებები დაცულად მიაჩნია 30.0 პროცენტს (51.5 პროცენტს მიაჩნია, რომ ისინი არ არის დაცული, ხოლო 18.5 პროცენტს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა). კერძო საკუთრება და კერძო ბიზნესი საქართველოში დაცულად მიაჩნია მხოლოდ 27.9 პროცენტს (46.9 პროცენტი ფიქრობს, რომ ისინი არ არის დაცული, ხოლო 25.2 პროცენტს უჭირს პა-

სუხის გაცემა). თავს უსამართლობისაგან დაცულად განიცდის გამოკითხულთა მხოლოდ 38.1 პროცენტი, (43.1 პროცენტი თავს უფრო დაუცველად გრძნობს, ხოლო 18.8 პროცენტს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა).

დემოკრატიული მმართველობის პირობებში ადამიანის წარმატება ძირითადად მის შრომას, ცოდნასა და უნარებს ეფუძნება. მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს, 37.7 პროცენტს მიაჩნია შესაძლებლად საქართველოში პატიოსანი შრომით ნიღმალური ცხოვრების მიღწევა. უფროს ასაკის რესპონდენტთან შედარებით (37.6 პროცენტი მეორე, 35.7 მესამე და 33.1 მეოთხე ასაკობრივ ჯგუფებში) ეს შესაძლებლად უფრო მეტად 18-24 წლის რესპონდენტებს მიაჩნიათ (47.8 პროცენტი).

განსხვავებული აზრისა და მრწამსის პატივისცემა დემოკრატიის კიდევ ერთ ძირითად თვისებას წარმოადგენს. საქართველოში ჩანს მცირეა რელიგიური გოლერანტობა. გამოკითხულთა მხოლოდ 27.7 პროცენტს მიაჩნია, რომ სხვა ეკლესიებს საქართველოში იგივე უფლებები უნდა ქონდეთ, რაც მართლმადიდებელ ეკლესიას. ცხრილი 2 გვიჩვენებს, რომ ასევე მცირეა იმ მოსახლეობის წილი ვისაც მიაჩნია, რომ სხვადასხვა რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანებს უფლება უნდა ქონდეთ აღასრულონ რელიგიური რიფუალები მცირეა.

ცხრილი 2

რელიგიური რიფუალების აღსრულების უფლება

	კონფესია	უნდა ჰქონდეთ No 1100 %
1	მართლმადიდებლები	97.5
2	კათოლიკები	43.1
3	მაჟმადიანები	39.5
4	გრიგორიანელები (სომხეთის ეკლესიის წარმომადგენლები)	35.8
5	ბაპტისტები	19.5
6	იელოველები	18.2

თანასწორობა, მათ შორის გენდერული თანასწორობა დემოკრატიის ნიშანია. მოსახლეობის დიდი ნაწილი გენდერულ თანასწორობის მომხრეა. უმრავლესობა (68.8 პროცენტი) მიიჩნევს, რომ თუ ოჯახს ერთი შვილი უნდა ყავდეს უფრო მეტად სასურველი არ არის, რომ ეს ბიჭი იყოს. უმრავლესობა (52.8 პროცენტი) ფიქრობს, რომ ქალების პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვით ქვეყანა მხოლოდ მოიგებს, უმრავლესობა (51.9 პროცენტი) არ ეთანხმება აზრს, რომ სამუშაო ადგილების სიმცირის შემთხვევაში, სამსახურში აყვანისას კაცს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ამავდროულად მაღალია ქალებისა და კაცების როლების გრადიციულად

განაწილების მომხრეთა წილი. 53.6 პროცენტს მიაჩნია, რომ ყველასათვის უკეთესია, როდესაც კაცი მუშაობს და ქალი კი ოჯახს უვლის. აღსანიშნავია ასაკობრივი განსხვავება ამ საკითხთან მიმართებაში. ყველაზე ეგალიფარული დამოკიდებულება გამოამჟღავნეს 25-44 წლის, ყველაზე ნაკლებ ეგალიფარული კი ასაკით ყველაზე უფროსმა რესპონდენტებმა (მოსაბრებას არ დაეთახმა 24-44 წლის რესპონდენტთა 45.9 პროცენტი და 65 წელზე უფროს რესპონდენტთა 33.3 პროცენტი).


ამგვარად მონაცემები მიუთითებან მოსახლეობის მიერ დემოკრატიული დირებულებების აღიარებაზე და ამავდროულად ქვეყანაში მათი რეალიზაციის შესაძლებლობის დაბალ ხარისხზე.

3.სამოქალაქო აქტიობა

ნდობა და საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ინგერესი

აქტიური მოქალაქე დემოკრატიის ძირითად ნიშანს და მისი განხორციელების საზუძველს წარმადგენს. ადამიანის სამოქალაქო აქტიობას კი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სხვა ადამიანების მიმართ ნდობა და საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ინგერესი.

შემაშფოთებელია ის, რომ ნდობა სხვების მიმართ, რომელიც სოციალური კაპიტალის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს (Rossteutscher, 2008) ქვეყანაში დაბალია და იგი განუხრელად კლებულობს. თუ სხვების მიმართ ნდობას 2006 წელს 44.5, 2007 წელს 43.6, 2008 წელს 38.2 პროცენტი გამოხატავდა, 2009 წელს მოსახლეობის მხოლოდ ერთ მესამედს (32.6 პროცენტს) მიაჩნდა, რომ ადამიანების უმრავლესობა ნდობას იმსახურებს.




ნახ.1

ნდობა სხვა ადამიანების მიმართ და ინგერესი პოლიტიკის მიმართ

ნახ.1 - დან ჩანს, რომ კიდევ უფრო მკვეთრად დაეცა მოსახლეობის ინგერესი პოლიტიკის მიმართ. დადასტურებულად ითვლება პოლიტიკისადმი ინგერესის შედარებითი სიმცირე ახალგაზრდებსა და ხანდაზმულებს შორის (მაგ. Converse., &

Niemi, 1971). გამოკვლევაში ეს დებულება დადასტურდა მხოლოდ ახალგაზრდებთან მიმართებაში, ხანდაგმულმა რესპონდენტების დიდმა ნაწილმა აღნიშნა ინტერესი პოლიტიკური პროცესებისადმი. პოლიტიკით ყველაზე მეტად დაინტერესებული არიან 45-64 წლის რესპონდენტები, შემდეგ 65 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობა, 25-44 წლის ასაკის რესპონდენტები და ყველაზე ნაკლებად 18-24 წლის ახალგაზრდები.




ნახ.2

პოლიტიკით დაინტერესება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებში

გამოკითხულთა ნახევარზე ნაკლებმა (43.7 პროცენტმა) აღნიშნა, რომ თვალყურს ადევნებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ცხადია, რომ მოვლენებზე თვალყურის დევნება დაკავშირებულია ინტერესთან პოლიტიკისადმი, ამიტომ გასაკვირი არ არის ორივე შემთხვევაში მსგავსი ასაკობრივი განსხვავების არსებობა. მოვლენებს თვალყურს ყველაზე მეტად აღევნებენ 45-64 ასაკობრივი ჯგუფის (52.0 პროცენტი), შემდეგ უფროსი ასაკის წარმომადგენლები (41.6 პროცენტი), 24-45 წლის რესპონდენტები (41.5 პროცენტი) და ყველაზე ცოდნას ახალგაზრდა რესპონდენტები (30.0 პროცენტი).

ინფორმაციის წყაროები და მათი შეფასება

უდიდესი უმრავლესობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას ტელევიზიით, ნაცნობ-მეგობრებისგან და გაზეთებიდან იღებს (რესპონდენტებს მოეთხოვებოდათ შეერჩიათ ინფორმაციის სამი ძირითადი წყარო).




ნახ.3

ინფორმაციის წყაროები

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (98.3 პროცენტი) ჩვეულებრივ უყურებს ახალ ამბებს ტელევიზიით, მეგობრებთან პოლიტიკაზე საუბრობს 80.0 პროცენტი. ამ შემთხვევებშიც რეგულარულად ახალ ამბებს ტელევიზიით თვალყურს აღევნებენ და მეგობრებთან პოლიტიკაზე ხშირად საუბრობენ უფრო მეტად ასაკოვანი ადამიანები. ახალ ამბებს უყურებს 18-24 წლის რესპონდენტთა 48.2, 25-44 წლის რესპონდენტთა 54.8, 45-64 წლის რესპონდენტთა 65.1 და 65 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტთა 59.3 პროცენტი. მეგობრებთან პოლიტიკაზე ხშირად საუბრობს 18-24 წლის რესპონდენტთა 8.5, 25-44 წლის რესპონდენტთა 16.8, 45-64 წლის რესპონდენტთა 25.2 და 65 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტთა 19.1 პროცენტი.

გამოკითხვამდე ერთი კვირის განმავლობაში ოქსპონდენტთა ყველაზე დიდმა ნაწილმა ინფორმაცია მიიღო ტელევიზიის, ახლობლების და თანამშრომლების და გაზითების მეშვეობით.




65b.4

ინფორმაციის მისაღებად გამოყენებული წყარო ერთი კვირის განმავლობაში

გაზეთებიდან და ახლობლებისგან ინფორმაციას ყველაზე მეტად 45-64 წლის რესპონდენტები (41.6 პროცენტი და 52.9 პროცენტი), ხოლო ყველაზე ნაკლებად 18-24 წლის რესპონდენტები (30.8 პროცენტი და 39.6 პროცენტი) იღებენ, ევროარხებს ყველაზე მეტად 25-44 წლის (10.4 პროცენტი), ყველაზე ნაკლებად კი 65 წელს გადაცილებული რესპონდენტები (3.0 პროცენტი) აღევნებენ თვალყურს. ინგერნეციის მომხმარებელთა წილი ხაზოვანად კლებულობს ასაკთან ერთად. მას იყენებს 18-24 წლის რესპონდენტთა 32.1, 25-44 წლის რესპონდენტთა 20.5, 45-64 წლის რესპონდენტთა 7.8 და 65 წელს გადაცილებულ რესპონდენტთა 4.2 პროცენტი.

ქრონიკა, კურიერი და მოამბე ყველაზე პოპულარული საინფორმაციო პროგრამებია, როგორც მაყურებელთა რაოდენობის ასევე მათდამი ნდობის ხარისხის მიხედვით. ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მეტი მაყურებელი კურიერს, ქრონიკას და მოამბეს ყავს. ამავე დროს მაყურებელთა ყველაზე მაღალი ნდობით სარგებლობს ქრონიკა, კურიერი და მოამბე.



Баатар

Саатгалын олон шаталжилжилтэй саамийн төслийн мэдүүлэхэд

Үзүүлэлт 3

Түүрхжэтийн төслийн мэдүүлэхэд

(Зоргүүлэгийн төслийн мэдүүлэхэд

Ихэвчлэлийн төслийн мэдүүлэхэд

Ихэвчлэлийн төслийн мэдүүлэхэд

No=архивын үзүүлэхэд	Саамийн төслийн мэдүүлэхэд	Зоргүүлэгийн төслийн мэдүүлэхэд	Саамийн төслийн мэдүүлэхэд	Саамийн төслийн мэдүүлэхэд
1. Гэрчилгааны төслийн № 965	65.1	29.4	5.5	100
2. Гэрчилгааны төслийн № 971	58.9	36.7	4.4	100
3. Монголын зоргүүлэгийн төслийн № 834	43.6	38.7	17.7	100
4. Агаалын амьтдын төслийн № 473	42.6	18.5	38.9	100
5. Дүүрэг (Газарын төслийн № 289)	38.1	22.1	39.8	100
6. Шүүрхийн төслийн № 284	34.7	22.0	43.3	100
7. Гэрчилгааны төслийн № 150	22.0	9.4	68.6	100
8. Агаалын амьтдын төслийн № 392	21.4	25.2	53.4	100
9. Рузсувийн архивын төслийн № 271	14.5	30.2	55.3	100
10. Азьаарын төслийн № 68	9.0	7.6	83.4	100
11. Түүрхжэтийн төслийн № 61	7.0	7.7	85.3	100
12. Сомбижетийн төслийн № 57	6.3	8.0	85.7	100

საინფორმაციო საშუალებების შეფასების კიდევ ერთ პარამეტრს მათი ხელისუ-
ფლებისაგან დამოუკიდებლობის აღქმა წარმოადგენს. კითხვარში შესაფასებლად
ჩამოთვლილ რვა მედია საშუალებიდან, ყველაზე დამოუკიდებლად მოცემულ
საშუალებების მომხმარებელთა შორის აღქმულია საფელევიზიო არხი „კავკასია“
(47.2 პროცენტი), საფელევიზიო არხი „მაესტრო“ (46.7 პროცენტი) და გაბეთი
„კვირის პალიგრა“ (42.5 პროცენტი).

ცხრილი 4


მედია საშუალებების რანჟირება მათი დამოუკიდებლობის ხარისხის მიხედვით
(პროცენტი დათვლილია მოცემული საშუალებების მაყურებელთა/მკითხველთა
რიცხვიდან)

	მედია საშუალება	ძირითადად დამოუკი- დებელია	ძირითადად დამოკიდე- ბელია	მიჭირს პასუხის გაცემა	სულ
		%	%	%	%
1	სატელევიზიო არხი „კავკასია“ № 599	47.2	8.8	43.9	100
2	სატელევიზიო არხი „მაესტრო“ № 613	46.7	9.3	44.0	100
3	გაზეთი კვირის პალიგრა № 788	42.5	13.7	43.8	100
4	გაზეთი ალია № 710	34.4	12.5	53.1	100
5	გაზეთი რეზონანსი № 678	30.1	13.7	43.8	100
6	სატელევიზიო არხი „იმედი“ № 995	27.2	41.5	31.3	100
7	სატელევიზიო არხი „რუსთავი 2“ № 982	20.4	48.2	31.5	100
8	პირველი არხი № 948	14.6	51.4	33.9	100

მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში

დაბალია საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივი აქტიურობა. გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი (77.6 პროცენტი) არ არის რაიმე ნებაყოფლობითი ორგანიზაციის წევრი. იმ 23.4 პროცენტიდან, რომელმაც აღნიშნა რომ ორგანიზაციის წევრია, 19.3 პროცენტმა მიუთითა, რომ ერთი, 2.0 პროცენტმა, რომ ორი და 0.9 პროცენტმა, რომ სამი სხვადასხავა გიბის თრგანიზაციის წევრია. გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი (9 პროცენტი) არის ეკლესიის მრევლი, 1.3 პროცენტი პოლიტიკური პარტიის, 1.3 პროცენტი პროფესიონალის, 1.1 პროცენტი ხელოვნების ან საგანმანათლებლო ორგანიზაციის, 0.5 პროცენტი საქველმოქმედო ორგანიზაციის, 0.4 პროცენტი სპორტული, 0.3 პროცენტი პროფესიული, 0.2 ეთნიკური ასოციაციის და 0.1 პროცენტი გარემოს დამცავი ორგანიზაციის წევრია.

ნებაყოფლობითი ორგანიზაციის წევრი 291 რესპონდენტი გაწევრიანების ორ ძირითად მიზეზად ყველაზე ხშირად ახლობლების თხოვნას და საკუთარი პროფესიის წარმომადგენელთა უფლებების დაცვის ასახელებს. უცნაურია, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის გაკეთება ნებაყოფლობით ორგანიზაციაში გაწევრიანების მოგივაციას ძალზე მცირე რესპონდენტებისათვის წარმოადგენს. 6.5 პროცენტი, ეს ძირითადად ეკლესიის მრევლს ეხება, გაერთიანების მიზეზად რწმენას ასახელებს.



ნახ.6

ნებაყოფლობით ორგანიზაციაში გაერთიანების მიზეზები


რესპონდენტთა ნახევარი (52.8 პროცენტი) მიუთითებს, რომ ორგანიზაციაში ყოფნისას მათი მოლოდინი მთლიანად, 39.6 პროცენტი კი, რომ ნაწილობრივ გამართლა, ხოლო 7.5 პროცენტი, რომ არ გამართლა და მან ამის მიზეზი მიუთითა, ყველაზე ხშირად საქმის წარმართვის დაბალი დონე (10 რესპონდენტი), დაფინანსების სიმცირე (5 რესპონდენტი) და ის იქნა დასახელებული, რომ სახელმწიფო მხედველობაში არ იღებს მოქალაქეთა ინგერესებს (5 რესპონდენტი).

საერთო ჯამში მოსახლეობა არასამთავრობო ორგანიზაციებს დადებითად

აფასებს. ასეთ შეფასებას იძლევა გამოკითხულთა 40.0 პროცენტი. 15.3 პროცენტი არასამთავრობოთა საქმიანობას უარყოფითად აფასებს. ამავე დროს ცალსახაა სექტორის ნაკლები ხილვადობა, რადგან გამოკითხულთა 44.7 პროცენტს გაუჭირდა შეფასების გაკეთება..

გამოკითხულთა უმრავლესობა (81.0 პროცენტი) მიუთითებს, რომ არ იცნობს არასამთავრობო სექტორში მომუშავე არცერთ ადამიანს. გამოიკვეთა ასაკობრივი განსხვავება ნაცნობობასთან მიმართებაში. არასამთავრობოს თანამშრომლებს ყველაზე მეტად იცნობენ 25-44 წლის (26.3 პროცენტი), შემდეგ 18-24 წლის (24.8 პროცენტი), 45-64 წლის წლის (13.2 პროცენტი) და ყველაზე ნაკლებად 65 წელს გადაცილებული რესპონდენტები (11.0 პროცენტი).

ძალგე მცირე ნაწილმა, გამოკითხულთა მხოლოდ 12.5 პროცენტმა განაცხადა, რომ შეუძლია დაასახელოს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მოსწონს. ყველაზე ხშირად დასახელებული იყო „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, რომელიც 54 რესპონდენტმა დაასახელა, „დია საზოგადოება საქართველო“ (5 რესპონდენტი), თავისუფლების ინსტიტუტი (3 რესპონდენტი), კონსტიტუციის 42 მუხლი (2 რესპონდენტი). კითხვარში წარმოდგენილი არასამთავრობო ორგანიზაციის სიიდან ყველაზე მეტად ცნობილი ისევ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აღმოჩნდა. მის შესახებ ინფორმაცია გამოკითხულთა 43.4 პროცენტს, ცნობადობის მიხედვით შემდეგი იყო სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (23.0 პროცენტი) და შემდეგ ღია საზოგადოება-საქართველო (21.7 პროცენტი).



ნახ. 7

არასამთავრობო ორგანიზაციების ხილვადობა

მსგავსი თანმიმდევრობა აღინიშნა არასამთავრობოთა მოწონებაში. ყველაზე მეტად მოწონებული ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (27.5 პროცენტი), შემდეგ „სამართლიანი არჩევნები“ (8.5 პროცენტი) და ფონდი „დია საზოგადოება-საქართველო“ არის (6.9 პროცენტი).


ცხრილი 5

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება

	ორგანიზაცია	მომწონს %	არ მომწონს %	არც მომწონს და არც არ მომწონს %	არაფერი ვიცი მის შესახებ %	სულ №1100
1	ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	27.5	4.4	17.5	50.6	100
2	სამართლიანი არჩევნებ-ისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება	8.5	4.2	10.3	77.0	100
3	ფონდი „ლია საზოგა-დოება – საქართველო”	6.9	4.3	10.5	78.3	100
4	ახალგაზრდა ეკონო-მისტთა ასოციაცია	6.3	3.2	11.7	78.8	100
5	კავკასიის ინსტიტუტი	4.9	2.8	10.2	82.1	100
6	სტრატეგიის და საერ-თაშორისო ურთიერთ-ობების კვლევის ფონდი	2.8	1.7	6.5	89.0	100
7	კონსტიტუციის 42-ე მუხლი	2.4	25.0	7.3	88.3	100
8	საერთაშორისო გამჭვირვალობა, საქართველო	2.4	2.3	7.1	88.3	100

პირდაპირი შეფასებისგან განსხვავებით, ოღესაც როგორც ზემოთ აღღნიშნეთ 40.0 პროცენტმა აღნიშნა დადებითი დამოკიდებულება არასამთავრობო სექტორის მიმართ, კითხვაზე: „სასურველად მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი იყოს?“ შეფასება ნაკლებ პოზიტიურია. გამოკითხულთა მხოლოდ ერთი მეოთხედი (25.6 პროცენტი) ხედავს ამაში მომხიბლაობას, 36.2 პროცენტს არ მიაჩნია სასურველად წევრობა და ისევ საკმაოდ დიდ ნაწილს (38.2 პროცენტს) უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა. არასამთავროებებისადმი დამოკიდებულებაში გამოიკვეთა ასაკობრივი განსხვავება. მათში გაწევრიანების მსურველების ყველაზე დიდი წილი (33.4 პროცენტი) მეორე ასაკობრივ ჯგუფის, შემდეგ 18-24 წლის, შემდეგ 45-64 წლის რესპონდენტებზე მოდის, ყველაზე მცირე კი 65 წელს გადაცილებულ რესპონდენტთა შორისაა (12.9 პროცენტი).

ისინი, ვისაც სასურველად მიაჩნია არასამთავრობო ორგანიზაციაში გაწევრიანება, ამის ორ ძირითადად მიზებად უფრო მეტად ასახელებენ საზოგადობისათვის სასარგებლო საქმის კეთებას (63.1 პროცენტი) და საინტერესო ადამიანების გაცნობას (36.2 პროცენტი).




ნახ.8

მომავალში არასამთავრობო ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზეზები

გამოკითხულთა უდიდესმა ნაწილმა (94.8 პროცენტი) მიუთითა, რომ გასული წლის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია რაიმე კოლექტიურ აქციაში. თუმცა საერთო საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაჭრაში რესპონდენტები უფრო მეტ აქტივობას იჩენენ. გამოკითხულთა უმრავლესობამ (58.9 პროცენტი) აღნიშნა, რომ მათი სამეზობლო ან თემი ერთიანდება საერთო საყოფაცხოვრებო პრობლემის მოსაგვარებლად. 44.6 პროცენტი საქმის მოსაგვარებლად ხელისუფლებას მიმართავს, დიდი ნაწილი (27.7 პროცენტი) არაფერს აკეთებს.

განვლილი წლის განმავლობაში სასარგებლო საქმის შესრულებაში საკუთარი წელილი შეიგანა გამოკითხულთა მხოლოდ 16.0 პროცენტმა. ყველაზე დიდი წილი აღინიშნება 25-44 წლის რესპონდენტებში. ამ ასაკობრივი ჯგუფის 21.8 პროცენტმა მიუთითა, რომ შეასრულა სასარგებლო საქმე, ყველაზე მცირეა 65 წელს გადაცილებულ რესპონდენტთა წილი (9.5 პროცენტი), პირველი და მესამე ასაკობრივი ჯგუფების წილი თითქმის თანაბარია (14.5 და 14.5 პროცენტი შესაბამისად).

იმ 174 რესპონდენტს შორის, რომელმაც გარკვეული აქტიობა გამოიჩინა საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის კეთებაში, უდიდესმა ნაწილმა (62.1 პროცენტი) იშრომა მოხალისედ, დანარჩენებმა გაიღეს ფული ან სხვა სახის მაგერიალური რესურსი.



ნახ. 9

საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის სახეობა

საქმე, რომლის შესრულებაშიც წვლილი შეიგანეს რესპონდენტებმა ძირითადად ორგანიზებული იყო ახლობელთა ჯგუფის (38.5 პროცენტი), ეკლესიის (31.6 პროცენტი) ან სახელმწიფო ორგანიზაციების (16.7 პროცენტი) მიერ. საკმაოდ მცირე ნაწილი იყო ორგანიზებული არასამთ ვრობო ორგანიზაციების (7.5 პროცენტი) ან პოლიტიკური პარტიების (2.9 პროცენტი) მიერ. გამოკითხულთა 1.3 პროცენტმა თავი შეიკავა მითითებისაგან.

გამოკითხულთა 45.6 პროცენტმა მზაობა გამოხატვა მომავალში ჩაერთოს საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის კეთებაში. დახმარების მზაობა კლებულობს ასაკთან ერთად. აქციონის მზაობა გამოხატვა პირველი ასაკის ჯგუფის 56.7-მა, მეორე ჯგუფის 54.0-მა, მესამე ჯგუფის 42.0-მა და მეოთხე ჯგუფის 24.2-მა პროცენტმა.

საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი (39.7 პროცენტი) მიიჩნევს, რომ შეეცდებოდა ხმა ხელისუფლებისათვის მიეწვდინა, 28.9 პროცენტი მოაწერდა ხელს მოთხოვნაზე, 15.3 პროცენტი აგრს გამოეთქვამდა მედიაში.

ცხრილი 6

შესაძლო ქმედებები საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში
(რესპონდენტების შეეძლოთ აღენიშნათ ნებისმიერი რაოდენობის ქმედება)

Nº	ტიპი	% № 1100
1	შევცდებოდი ჩემი პრობლემა ხელისუფლებისთვის მიმეწვდინა	39.7
2	მოვაწერდი ხელს მოთხოვნაზე	28.9
3	გამოვთქვამდი აზრს მედიის მეშვეობით	15.3
4	დავესწრებოდი საზოგადოებრივ თავმრილობებს	13.5
5	დავესწრებოდი მიტინგებს	12.1
6	შევცდებოდი ხელისუფლების წარმომადგენელთან ნაცნობობა გამომეუყენებინა პრობლემის მოსაგვარებლად	10.3
7	მივიღებდი მონაწილეობას საჯარო დისკუსიაში	9.6
8	მივიღებდით მონაწილეობას ქუჩის აქციებში	9.1
9	მივიღებდი მონაწილეობას არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობაში	6.8
10	მივმართავდი უცხოეთის საელჩოებს	6.5
11	მივიღებდი მონაწილეობას გაფიცვაში	5.7
12	გავიღებდი რესურსებს (მასალას, ფულს)	4.2
13	მივიღებდი მონაწილეობას ნებაყოფლობით პროფესიული კავშირების საქმიანობაში	4.1
14	მივიღებდი მონაწილეობას პოლიტიკურ პარტიის საქმიანობაში	3.4
15	დავიწყებდი შიმშილობას	2.9
16	შევცდებოდი გაერიგებოდი ხელისუფლების წარმომადგენელს (მაგ. უარს ვიტყოდი გარკვეულ ქმედებებზე, შევთავაზებდი ქრთამს, მომსახურებს და სხვა)	1.9

ხელისუფლებაზე გემოქმედების ყველაზე ეფექტურ საშუალებებად მიჩნეულია ადგილობრივი ხელისუფლებისადმი მიმართვა (31.4 პროცენტი), ხელმოწერების

შეგროვება (27.4 პროცენტი) და დეპუტატებისადმი ან პარლამენტისადმი მიართვა (23.3 პროცენტი).

ცხრილი 7

ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას ხელისუფლებაზე გე-მოქმედების ეფექტური საშუალებები.

(რესპონდენტებს შეეძლოთ აღენიშნათ ნებისმიერი რაოდენობის ქმედება)

No	ქმედება	%
1	ადგილობრივი ხელისუფლებისთვის საჩივრით ან წინადადებით მიმართვა	31.4
2	ხელმოწერების შეგროვება	27.4
3	დეპუტატისადმი ან პარლამენტისადმი მიმართვა	23.3
4	ქართული პრესის საშუალებით მოქმედება (ტელევიზიით გამოსვლა/ წერილის გაზეთში გამოქვეყნება)	18.5
5	თანამშრომლობა (ხელისუფლებასთან არსებული საზოგადოებრივ საბჭოებში და განხილვებში მონაწილეობა)	18.0
6	საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, უცხოეთის საელჩოებისათვის მიმართვა	15.8
7	გაფიცვა	15.3
8	ხალხმრავალი სანქცირებული მიტინგების მოწყობა	11.5
9	უცხოეთის მედიის წარმომადგენლებისადმი მიმართვა	10.3
10	არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობა	10.1
11	პროფესიურების საქმიანობაში მონაწილეობა	9.2
12	პოლიტიკური პარტიის საქმიანობაში მონაწილეობა	8.5
13	ქუჩის/გზების გადაკეტვა, არასანქცირებული მიტინგები	7.0
14	შიმშილობა	3.5
15	ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაპირისპირება, ძალის გამოყენება	1.4

ამგვარად მონაცემები ცალსახად მიუთითებენ სამოქალაქო აქციურობის დაბალ ხარისხზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამის ერთერთი ფაქტორი სხვებისადმი ნდობის დაბალი დონეა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ინტერესის მსგავსად ბოლო წლების განმავლობაში განუხრელად კლებულობს. ასაკის მიხედვით ყველაზე დიდი აქციონებით 25-44 წლის რესპონდენტები გამოირჩევიან. მცირეა სამოქალაქო სექტორის ხილვადობა. არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობადობა და მათი მომხიბლათა უფრო დიდია ახალგაზრდებს შორის. მოსახლეობის საზოგადოებრივი საქმიანობაში ჩართვა ძირითადად ხდება ახლობლებისა და ეკლესიის ინციაციებით. ახლობლები წარმომადგენენ არა მხოლოდ ნებაყოფლობითი საქმიანობის მათმდრავებელ ძალას, არამედ ასევე ინფორმაციის მიღების მნიშვნელობით მეორე წყაროს. ინფორმაციის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ტელუ-

ვიზით იღებს. თუმცა ნდობა ძირითადი საფელევიზიო არხების – კურიერის, იმედის და პირველი არხის საინფორმაციო გამოშენების მიმართ არც თუ ისე დიდია. ისინი ნაკლებად აღიქმებიან ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ მედია საშუალებებია.

4.ცხოვრების ხარისხი და ღირებულებები

მთელ რიგი მკვლევარები (იხილე მაგ. ant., & Luttbeg, 1991) მოსახლეობის ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხს დემოკრატიული წყობის სფაბილობის ძირითად ფაქტორად მიიჩნევენ. მოსახლეობის ნახევარზე მეტი (50.7 პროცენტი) თავს საკმაოდ ბედნიერად გრძნობს. ბედნიერების განცდა ასაკთან ერთად კლებულობს. თავს ბედნიერად გრძნობს პირველი ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა 77.3, მეორე ჯგუფის 59.2, მესამე ჯგუფის 41.2 და მეოთხე ჯგუფის 29.6 პროცენტი.


საკმაოდ მაღალია გამოკითხულთა თვით-შეფასება. 62.7 პროცენტი მიუთითებს, რომ საკმაოდ, 33.4 პროცენტი კი რომ საშუალოდ დარწმუნებულია საკუთარ თავში, 3.9 პროცენტი, რომ არ არის დარწმუნებული საკუთარ თავში. ბედნიერების მსგავსად საკუთარ თავში რწმენაც ასაკთან ერთად კლებულობს. თავში საკმაოდ დარწმუნებულია 18-24 წლის რესპონდენტთა 69.1, 25-44 წლის რესპონდენტთა 63.3, 45-64 წლის რესპონდენტთა 62.1 და 65 წელზე უფროსი ასაკის 57.0 პროცენტი. ასაკთან მიმართებაში საპირისპირო სურათი გვაქვს პასუხისას კითხვაზე: „შეიძლება იმის თქმა, რომ თქვენ იპოვეთ ადგილი ცხოვრებაში?“ ამ შემთხვევაში იმათი რიცხვი, ვინც ფიქრობს რომ იპოვა ადგილი მაგულობს ასაკთან ერთად (29.0 პროცენტ პირველ, 44.9 პროცენტი მეორე, 44.1 პროცენტი მესამე და 47.7 პროცენტი მეოთხე ასაკობრივ ჯგუფში). მთლიანობაში 42.8 პროცენტი მიიჩნევს, რომ იპოვნა, 41.3 პროცენტი რომ ვერ იპოვდ ადგილი, ხოლო 15.9 პროცენტს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.

მოსახლეობის ოპტიმიზმი საკმაოდ მაღალია. 55.4 პროცენტი ოპტიმისტურად არის განწყობილი. ოპტიმიზმის დონე ასაკთან ერთად კლებულობს. პირველი ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა 71.6, მეორე ჯგუფის 61.9, მესამე ჯგუფის 48.6 და მეოთხე ჯგუფის 42.7 პროცენტი, ფიქრობს რომ ცხოვრებაში ყველაფერი უფრო ისე წაუვა, როგორც ელის. შესაბამისად გამოკითხულთა 89.3 პროცენტი მომავალს იმედით უყურებს. იმ რესპონდენტთა წილი, ვინც მომავალს იმედით უყურებს ასევე კლებულობს ასაკთან ერთად (95.1 პროცენტი პირველ ჯგუფში, 91.8 მეორე, 88.7 მესამე და 80.2 პროცენტი მეოთხე ჯგუფში).

ახალგაზრდები ასევე უფრო მეტად მიიჩნევენ, რომ თვითონ მართავენ საკუთარ ცხოვრებას. პირველი ასაკობრივი ჯგუფის უფრო მეტი წარმომადგენელი (69.1 პროცენტი), მეორე (58.9 პროცენტი), მესამე (51.4 პროცენტი) და მეოთხე (52.6 პროცენტი) ჯგუფების წარმომადგენლებით მიიჩნევს, რომ ის, თუ რას მიაღწევს ადამიანი ცხოვრებაში უფრო მასზეა დამოკიდებული, ვიდრე სხვაგვე ან სიგუაციაზე.

გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი (45.9 პროცენტი) მიუთითებს, რომ არც კმაყოფილია და არც უკმაყოფილო ცხოვრებით, 29.0 პროცენტი გამოთქვამს საკუ-

თაღი ცხობრებით უკმაყოფილებას, ხოლო 25.1 პროცენტი კმაყოფილებას. ყველაზე მეტად კმაყოფილი ახალგაზრდა, ხოლო უკმაყოფილი ხანშიშესული რესპონდენტები არიან. ცხოვრებით კმაყოფილებას გამოხატავს პირველი ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა 30.7, მეორე ჯგუფის 28.2, მესამე ჯგუფის 22.1 და მეოთხე ჯგუფის 20,0 პროცენტი. ყველაზე მეტად რესპონდენტები კმაყოფილი ოჯახური ურთიერთობებით, ხოლო ყველაზე ნაკლებად ოჯახის შემოსავლით არიან.




ნახ.10

ცხოვრების სხვადასხვა სფეროებით კმაყოფილება

უმრავლესობა, 36.8 პროცენტი საკუთარ ჯანმრთელობას აფასებს, როგორც კარგს ან ძალიან კარგს, 45.6 პროცენტი, როგორც საშუალოს და 17.7 პროცენტი, როგორც ცუდს.

განსხვავებული ასაკის ადამიანებისათვის ცხოვრების სხვადასხვა მხარეები განსხვავებული დირებულებების მატარებელია. ზოგადად ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეულია მშვიდობა ქვეყანაში, ოჯახი და ჯანმრთელობა.



ნახ. 11

ცხოვრების მხარეების მნიშვნელობა

ცხოვრების მხარეების შეფასებისას სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის რესპონ-დენტთა შორის განსხვავება არ აღმოჩნდა 12 დასახელებულიდან მხოლოდ 4 ასპე-ქტში, ესენია: მშვიდობა ქვეყანაში, ჯანმრთელობა, ფული და სახლი. ხოლო რაც შეეხება განათლებას, პირად დამოუკიდებლობას, მეგობრებს, თავისუფალ დროს, რე-ლიგიას და სამსახურს, აქ ასაკთან ერთად აღინიშნება მათი მნიშვნელობის კლება.


ოჯახს ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მეორე (98.9 პროცენტი) და მესამე (98.5 პროცენტი), ხოლო ყველაზე მცირეს პირველი (94.4 პროცენტი) ასაკობრივი ჯგუფის რესპონ-დენტები. უფროსი ასაკის რესპონ-დენტთა 95.3 პროცენტს მიაჩნია ოჯახი მნიშვნელოვნად. პოლიგიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება კი ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ 44-65 წლის რესპონ-დენტებს (42.6 პროცენტი), შემდეგ 25-44 წლის (34.6 პროცენტი), 65 წელზე უფროს (31.4 პროცენტი) და ბოლოს 18-24 წლის (32.1 პროცენტი) რესპონ-დენტებს.

ცხრილი 8

ცხოვრების მხარეების მნიშვნელობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

	ცხოვრების მხარე	სულ	18-24	25-44	45-64	65>	Chi-square, p Df=6
1	მშვიდობა ქვეყანაში	98.5					არ არის მნი-შვნელოვანი
2	ოჯახი	97.5	94.4	98.9	98.5	95.3	17.0, p<.005
3	ჯანმრთელობა	97.2					არ არის მნი-შვნელოვანი
4	ფული	94.2					არ არის მნი-შვნელოვანი
5	ბინა/სახლი	92.2					არ არის მნი-შვნელოვანი
6	განათლება	85.6	91.3	90.1	84.6	73.4	36.7, p<.001
7	სამსახური	85.6	92.5	89.0	89.4	63.1	94.1 p<.001
8	მეგობრები	84.6	91.2	88.5	84.8	69.6	50.7, p<.001
9	რელიგია	84.5	86.8	85.2	85.5	78.6	12.6, p<.05
10	დამოუკიდებლობა	79.1	88.8	81.7	77.9	67.5	26.9, p<.001
11	თავისუფალი დრო/დასვენება	62.3	76.7	61.9	62.6	48.5	37.1, p<.001
12	პოლიტიკა და საზოგადო-ებრივი ცხოვრება	36.6	32.1	34.6	42.6	31.4	16.9, p<.05

ღირებულებების არაპირდაპირ საზომად შეიძლება ჩაითვალოს ბავშვისათვის სასურველი თვისებების დადგენა. ჩამოთვლილი ათი თვისებიდან, საიდანაც რესპონ-დენტებს შეეძლოთ შეერჩიათ ხუთი ყველაზე სასურველი თვისება, ყველაზე ხშირად შერჩეული იყო შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, მიმტევებლობა, ის რომ ბავშვი მორწმუნება და დამოუკიდებელია.



ნახ. 12

ბავშვის სასურველი თვისებები

ოთხ წარმოდგენილ ღირებულებიდან, რომელთაგანაც ორი წარმოადგენდა მაგერიალურ (ქვეყანაში წესრიგის დაცვა და ფასების ბრდასთან ბრძოლა), ხოლო ორი პოსტ-მაგერიალურს (ადამიანებს ქონდეთ საშუალება ზეგავლენა მოახდინონ მთავრობის გადაწყვეტილებებზე და სიტყვის თავისუფლების დაცვა) რესპონდენტებს უნდა შეერჩიათ ორი. ყველაზე ხშირად შერჩეული იყო ერთი მაგერიალური და ერთი პოსტ-მაგერიალური ღირებულება (52.9 პროცენტი). უფრო ხშირად ეს იყო ქვეყანაში წესრიგის დამყარება და სიტყვის თავისუფლების დაცვა. ორი მაგერიალური ღირებულება შეარჩია 41.5, ხოლო ორი პოსტ-მაგერიალური 5.6 პროცენტი.

გამოიკვეთა ასაკობრივი განსხვავება ღირებულებებთან მიმართებაში. მაგერიალაური ღირებულებებს უფრო მეტად 45 წელზე უფროსი რესპონდენტები არჩევენ.

პოსტ-მაგერიალური ღირებულებებისადმი ერთგულება კი უფრო მეტად ახალგაზრდებისათვის არის დამახასიათებელი.

ამგვარად მოსახლეობის ნახევარი საკუთარი ცხოვრებით არც კმაყოფილია და არც უკმაყოფილო. კმაყოფილების ყველაზე დიდ წყაროს ოჯახური ურთიერთობები, ხოლო ყველაზე მცირეს ოჯახის შემოსავალი წარმოადგენს. მკვეთრად გამოიკვეთა ასაკის მნიშვნელობა ცხოვრების ხარისხსა და ღირებულებებზე. ოპტიმიზმი, ბედნიერების განცდა და თვით-შეფასება ასაკთან ერთად კლებულობს, ისევე როგორც განათლების, სამსახურის, მეცნიერების, რელიგიის, პიროვნული დამოუკიდებლობის და თავისუფალი დროის მნიშვნელობა. უფროსი ასაკის რესპონდენტებთან შედარებით ახალგაზრდები მეტად ანიჭებენ უპირატესობას პოსტ-მაგერიალურ ღირებულებებს.

5.პოლიგიკური სიმპათიები

ზემოთ ავღნიშნეთ, რომ საკმაოდ დაბალია ზოგადად ნდობა სხვა ადამიანების მიმართ, რომელსაც ხშირად ასევე სოციალურ ნდობას უწოდებენ და რომელიც დემოკრატიის ფუნქციონირების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. იგი კავშირში უნდა იყოს პოლიგიკურ მოქმედ პირთა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობასთან. გამოკითხვაში გამოვლინდა ამგვარი კავშირის არსებობა.


გამოკითხულთა დიდი ნაწილი (38.4 პროცენტი) არცერთ პოლიგიკურ ძალას არ ენდობა, 35.8 პროცენტი ენდობა ხელისუფლებას, 17.4 პროცენტს უჭირს არჩევანის გაკეთება, ხოლო ოპოზიციას ენდობა გამოკითხულთა მაღალი მცირე ნაწილი (8.4 პროცენტი). ნდობაში აისახა ასაკობრივი განსხვავებები. ნიპილისტური დამოკიდებულება ხაზობრივად მცირდება ასაკთან ერთად. ხელისუფლებას მომხრეები ყველაზე მეტად მეორე, ხოლო ოპოზიციას მესამე ასაკობრივ ჯგუფში ყავს.

ცხრილი 9

პოლიგიკურ ძალათა ნდობა ასაკობრივ ჭრილში

№	რესპონდენტ მხარს უჭირს:	I ასაკობრივი ჯგუფი No166 %	II ასაკობრივი ჯგუფი No357 %	III ასაკობრივი ჯგუფი No404 %	IV ასაკობრივი ჯგუფი No173 %	სულ
1	საქართველოს ხელისუფლებას	36.0	41.6	31.3	34.5	35.8
2	ოპოზიციას	5.6	5.9	11.2	9.4	8.4
3	არცერთს	46.6	38.0	37.2	4.5	38.4
4	მიჭირს პასუხის გაცემა	11.8	14.4	20.3	21.6	17.4
	სულ	100	100	100	100	100

რესპონდენტების მიერ გამოხატული მხარდაჭერისგან ძლიერ განსხვავდება იმის აღქმა თუ მოქალაქეთა რა ნაწილი უჭირს მხარს პოლიგიკურ ძალების. 22.9 პროცენტს მიაჩნია, რომ ხელისუფლებას მხარს უჭირს მოსახლეობის ნახევარზე მეტი. 15.8 პროცენტის აზრით კი მოსახლეობის ნახევარზე მეტი მხარს ოპოზიციას უჭირს.



ნახ. 13

რესპონდენტების მიერ ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხარდამჭერთა რაოდენობის შეფასება

როგორც ნახ. 13-ის და ცხრილი 9-ის შედარება გვიჩვენებს მოსახლეობის მიერ ხდება პოლიტიკურ ძალთა მხარდაჭერის გადაფასება და ნიპილისტური დამოკიდებულების შეუფასებლობა.

მხარდაჭერის აღქმა დაკავშირებულია მცდარი კონსენსუსის ეფექტთან. მცდარი კონსენსუსი არეკლამის ადამიანებს რწმენას, რომ სხვებიც მათნაირად ფიქრობენ. (იხილეთ Māg. Taylor., Peplau., & Sears, 1994). ხელისუფლების მომხრეთა 48.1 პროცენტის აზრით საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი მხარს უჭერს ხელისუფლებას; ოპოზიციის მომხრეთა 70.3 პროცენტის აზრით კი მოსახლეობის ნახევარზე მეტი მხარს ოპოზიციას უჭერს. მათ 19.5 პროცენტს ვინც არავის უჭერს მხარს მიაჩნია რომ მოსახლეობა თანაბრად უჭერს მხარს ხელისუფლებას და ოპოზიციას.


ცხრილი 10

მოსახლეობის მხარდაჭერის შეფასება სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიმართ

	50% მხარს უჭერს ხელისუფლებას %	50% მხარს უჭერს ოპოზიციას %	50% მხარს უჭერს ხელისუფლებას, 50% ოპოზიციას %	50% არცერთს %	არ ვიცი %	სულ %
რესპონდენტი მხარს უჭერს						
ხელისუფლებას	48.1	3.6	15.3	9.5	23.5	100
ოპოზიციას	1.1	70.3	12.1	7.7	8.8	100
არცერთს	9.5	17.6	19.5	17.9	35.3	100
უჭირს პასუხის გაცემა	11.1	11.1	16.3	7.4	54.2	100

ოპოზიციის საპროგესტო აქციები 2009 წლის აპრილ-ივნისში საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდნენ. გამოკითხულთა უმრავლესობა (46.3 პროცენტი) მიიჩნევს, რომ აქციების შედეგად არაფერი შეცვლილა. 17.6 პროცენტის მიაჩნია, რომ შემცირდა ოპოზიციის მხარდაჭერთა რიცხვი. აქციების ნაკლებ ეფექტურობის აღქმა ასევე გამოიკვეთა კითხვაზე პასუხისას: „აქციების შემდგომ პერიოდში ხელისუფლება ითვალისწინებს თუ არა უფრო მეტად მოსახლეობის აზრს?“ 34.9 პროცენტი მიუთითებს, რომ ამ მხრივ არაფერი შეცვლილა, თუმცა 29.7 პროცენტის აზრით ხელისუფლება უფრო მეტად, ხოლო 7.2 პროცენტის აზრით უფრო ნაკლებად უსმენს ხალხს. 28.2 პროცენტს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა. უმრავლესობა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებულ დაბაბულ ურთიერთობაზე პასუხისმგებლობას ორივე მხარეს თანაბრად აკისრებს (54.8 პროცენტი), 26.1 პროცენტი პასუხისმგებლად ხელისუფლებას, ხოლო 6.6 პროცენტი ოპოზიციას მიიჩნევს (12.5 პროცენტს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა).

ნახ. 14-დან ჩანს, რომ აქციების დროს ხელისუფლების მოქმედება ოპოზიციის ქმედებებზე უუფრო დადებითად არის შეფასებული.




ნახ.14

ხელისუფლებისა და ოპოზიციის ქმედებების შეფასება აპრილ-ივნისის აქციების დროს

ასაკობრივი ჯგუფებს შორის განსხვავება არ გამოიკვეთა ხელისუფლების ქმედებების შეფასებაში, მაგრამ გამოიკვეთა ოპოზიციის შეფასებისას. მის ქმედებებს უფრო დადებით და აფასებენ მესამე (13.9 პროცენტი) და მეოთხე (18.1 პროცენტი) ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები.


პოლიტიკისთა შორის ყველაზე დიდი მოწინებით სარგებლობენ მიხეილ სააკაშვილი, სოგარ სუბარი, გიორგი თარგამაძე, შალვა ნათელაშვილი და ირაკლი ალასანია.



ნახ. 15

ყველაზე მეტად მოწონებული პოლიტიკოსები

რესპონდენტთა მოწონებით ყველაზე ნაკლებ სარგებლობენ ბურაბ ნოღაიდელი, გივი თარგამაძე. გიგა ბოკერია, ნინო ბურჯანაძე და ჯონდი ბალათურია.



ნახ. 16

ყველაზე ნაკლებ მოწონებული პოლიტიკოსები


ცხრილი 11

პოლიგონულის შეფასება

	სახელი და გვარი	მირითადად მომწონის %	არ მომწონის %	მიჭირის პასუხის გაცემა %	არ ვიცი გან არის %	სულ No 1100
1	ირაკლი ალასაძია	37.9	28	28.4	5.7	100
2	დავით ბაქრაძე	27.4	39.2	29.0	4.4	100
3	ჯონი ბალაზურია	9.4	57.4	29.0	4.3	100
4	ლევან ბერძენიშვილი	26.1	38.9	30.0	4.1	100
5	ეგა ბესელია	162	51.7	27.6	4.4	100
6	გიგა ბოგერია	12.1	61.5	23.3	3.1	100
7	ნინო ბურჯანაძე	16	58.6	23.1	2.3	100
8	გონიტანტინე გამსახურდია	17.7	47.0	32.6	2.8	100
9	დავით გამყრელიძე	232	42.2	31.4	3.2	100
10	ლევან განებილაძე	20.6	46.4	30.2	2.8	100
11	პაატა დავითაძა	7.6	52.8	30.0	9.6	100
12	გობა დავითაშვილი	25.7	40.9	29.7	3.7	100
13	სალომე ზურაბიშვილი	17.1	49.6	29.5	3.9	100
14	გიგი თარგაშვილი	8.1	63.2	23.7	4.9	100
15	გიორგი თარგაშვილი	39.7	33.8	23.1	3.4	100
16	გია თოროლაძე	10.9	55.1	28.5	5.5	100
17	რუსუდან გვერდალიშვილი	272	37.1	26.5	9.2	100
18	გახა გეგეთა	215	44.5	28.7	5.3	100
19	გუგული მაღრაძე	13.5	46.1	29.2	11.2	100
20	შიხეილ მაჭავარიანი	13.7	53.4	29.0	3.8	100
21	ზურაბ ნოღაიძელი	5.9	65.4	26.1	2.6	100
22	შალვა ნათელაშვილი	38.0	36.3	22.9	2.8	100
23	ირაკლი ოქრუაშვილი	34.6	35.3	27.5	2.7	100

24	შისეილდ საატაშეილდი	465	302	22.9	0.5	100
25	გუბაზ სანიგილე	290	38.1	26.3	6.7	100
26	სოზარ სუბარი	429	302	23.2	3.8	100
27	გიგი უგულავა	32.6	39.5	25.0	2.9	100
28	დავთა უსუფაშეილდი	215	43.3	30.0	5.2	100
29	გასა შარტავა	242	38.1	29.3	8.4	100
30	გიორგი ცაგარევიშეილდი	8.9	45.7	34.8	10.6	100
31	ქეტრე ცისგარიშეილდი	13.1	51.2	27.6	8.1	100
32	ზეიად მიძიგური	23.0	43.6	28.7	4.7	100
33	გოგა ხაინდრავა	13.9	52.7	29.5	4.0	100

პოლიგიოსების მიმართ მოსახლეობის გულაცრუება გამოიკვეთა პასუხისმას კითხვაზე: „ხვალ რომ გარდებოდეს საპრეზიდენტო არჩევნები ვის მისცემდით ხმას?“ 28.2 პროცენტმა განაცხადა, რომ არცერთს ჩამოთვლილ ექვს სავარაუდო კანდიდატიდან, 21.5 პროცენტს გაუჭურდა არჩევანის გაკეთება, ხოლო 13.7 პროცენტმა არ მოისურვა საკუთარი დამოკიდებულების გამჟღავნება. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ არც ერთი შესაძლო კანდიდატი არ სარგებლოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერით. ყველაზე მეტი პატენტიური ამომრჩეველი აღმოაჩნდა ირაკლი ალასანიას, შემდეგ შალვა ნათელაშვილს და გიორგი თარგამაძეს.




ნახ. 17

საპრეზიდენტო შესაძლო კანდიდატებისადმი დამოკიდებულება

საპრეზიდენტო კანდიდატებითსადმი სიმბათიები დაკავშირებულია ასაკთან. ალასანიას მხარს უჭერს პირველი, მეორე და მესამე ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი. უფროსი ასაკის რესპონდენტები კი უპირატესობას

შალვა ნათელაშვილს ანიჭებენ. აპათიის ყველაზე მაღალი დონე 45-64 წლის რესპონდენტებში.



65b. 18

შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატებისადმი დამოკიდებულება

ამდენად გამოკითხვაში აისახა ის, რომ მიუხედავად შემცირებისა (61.6 პროცენტი 2008 წელს და 44.2 პროცენტი 2009 წელს) - ოდნავ მთიმაგა როგორც ხელისუფლების (31.1 პროცენტი 2008 წელს და 35.8 პროცენტი 2009 წელს, ასევე ოპოზიციის (7.3 პროცენტი 2008 წელს და 8.4 პროცენტი 2009 წელს) მხარდამჭერთა წილმა, კვლავ დიდი რჩება აპარატი და გულგრილობა პოლიტიკურ ძალათა მიმართ.

მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ნდობას ფაქტიურად ვერცერთი პოლიტიკური ძალა ვერ იმსახურებს. ძალგზე მცირეა ოპოზიციის მომხრეთა წილი. აპრილივლისის აქციებში ხელისუფლების ქმედებები თპოზიციის ქმედებებზე უფრო დადგებით და არის შეფასებული. უნდობლობა და ნიჭილიზმი განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდებში. ხელისუფლების მომხრეთ წილი უფრო დიდია მეორე, ხოლო ოპოზიციის მომხრეთა წილი კი მესამე ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტებს შორის.


6.მმართველობა, ქვეყნის პრობლემები და საგარეო ორიენტაციები

მმართველობა

გამოკითხულთა ნახევარზე მეტს (52.3 პროცენტი) მიაჩნია, რომ საქართველო განვითარების სწორ გზას ადგას, 19.1 პროცენტი ფიქრობს, რომ არასწორს, ხოლო 28.6 პროცენტს უჭირს პასუხის გაცემა.

ძალზე დაბალია ნდობა ყველა ძირითადი სახელმწიფო ინსტიტუტის, ოპოზიციისა და მედიის მიმართ. ყველაზე დიდი ნდობა გამოხატულ იქნა ეკლესიის მიმართ.


მას ნდობას უცხადებს გამოკითხულთა 90.9 პროცენტი. ეკლესიისადმი ნდობა კლებულობს ასაკთან ერთად. ყველაზე მეტად მას ენდობიან ახალგაზრდა რესპონდენტები (94.4 პროცენტი) შემდეგ მეორე (92.9 პროცენტი) მესამე (90.0 პროცენტი) და ყველაზე ნაკლებად მეოთხე ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები (85.3 პროცენტი).



ნახ. 19

ნდობა სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ


ნდობასთან არის დაკავშირებული კითხვა, რომელიც რესპონდენტთა მიერ საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში თავდაცვის საშუალებას ეხება. რესპონდენტებს მოეთხოვებოდათ თორმეტ პუნქტისგან შემდგარი სიიდან შეერჩიათ სამი წყარო, რომელსაც ისინი მიმართავდნენ მათ მიმართ განხორციელებული უსამართლობის შემთხვევაში. უფრო ხშირად შერჩეული იყო ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები, ადგილობრივი ხელისუფლება და პოლიცია.



ნახ. 20

პასუხები კითხვაზე: „ვის მიმართავდით თქვენს მიმართ ჩადენილი უსამართლობის შემთხვევაში?“

ზოგადად ეუქცურ მმართველობასთან არის დაკავშირებული ის, თუ რა მიაჩნიათ ადამიანებს საჭიროდ სამსახურის შოვნისათვის ანდა სამსახურეობრივი წარმატების მისაღწევად, წარმატება აღქმულია, როგორც საკუთარ ცოდნასა და უნარებზე თუ ნაცნობობასა და სხვა ფაქტორებზე დამოკიდებული. გამოკითხულთ ყველაზე დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ სამსახურეობრივი წარმატება დამოკიდებულია საქმის ცოდნაზე, უცხო ენის და კომპიუტერზე მუშაობის ცოდნაზე. აღსანიშნავია, რომ სასარგებლო ნაცნობობა, ახალგაზრდობა და ნაციონალური მოძრაობის წევრობა, ასევე დიდი ნაწილის მიერ არის აღქმული სამსახურეობრივი წარმატების მნიშვნელოვან ფაქტორად.



ნახ. 21

სამსახურეობრივი წარმატებისთვის აუცილებელი თვისებები

ქვეყნის პრობლემები

უმუშევრობა, სიღარიბე, რუსეთთან ურთიერთობა, რუსეთის საჯარისო ნაწილების საქართველოს გერიგორიაზე ყოფნა და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა - ეს ის ხუთი ძირითადი პრობლემაა, რომელიც რესპონდენტების მიერ შერჩეულ იქნენ, როგორც ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი.

ცხრილი 12

საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემების მნიშვნელობა

	პრობლემა	%
1	უმუშევრობა	83.0
2	სიღარიბე	68.5
3	ურთიერთობა რუსეთთან	58.5
4	რუსთან საჯარისო ნაწილების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა	50.2
5	ხარისხსანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა	32.7
6	ნარკომანია	26.6
7	აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში 2008 წ. 7 აგვისტომდე არსებული მდგომარეობის აღდგენა	25.1
8	აფხაზეთიდან და "სამხრეთ ოსეთიდან" დევნილთა მდგომარეობა	21.8
9	განათლების სისტემის მდგომარეობა	15.1
10	აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება	14.8
11	ადამიანის უფლებების დაცვა	14.1
12	საქართველოს მოსახლეობის სხვა ქვეყნებში გადაწყვეტილებები	13.3
14	ჯარის გაძლიერება	8.1
15	ბიზნესის განვითარება	8.1
16	ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის თანამდებობა	7.5
17	სასამართლოს დამოუკიდებლობა	7.2
18	შობადობის შემცირება	6.2
19	გორუფურია, მექანიზმება	5.3
20	ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა	5.1
21	ტელევიზიის თავისუფლება	4.0
22	მოქალაქეების დაუცველობა სამართალდამცავი თრგანოების თანამშრომელთა წინაშე	3.5
23	გრიმინალური სიტუაცია - დანაშაული და ძალადობა	2.3
24	სხვა ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში საცხოვრებლად შემოსვლა	2.7
25	ოპოზიციის ერთიანობა	1.9
26	ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობა	1.7

რესპონდენტები ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების მნიშვნელობის გარდა ასევე აფხაზებდნენ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში მოსალოდნელი საფრთხეების ალბათობას. სიღარიბის გაზრდა, გარემოს დაბინძურება და ქართული ტრადიციების დაკარგვა ყველაზე მეტად მოსალოდნელ საფრთხეებად არის აღქმული.

ცხრილი 13

მოსალოდნელი საფრთხეები

	საფრთხე	მოსალოდნელია
1	გაიზარდოს სიღარიბე	51.2
2	მნიშვნელოვნად გაიზარდოს გარემოს დაბინძურება	47.8
3	დაიკარგოს ქართული ტრადიციების დიდი ნაწილი	41.3
4	საქართველო გახდეს რუსეთის შეიარაღებული აგრესის მსხვერპლი	40.5
5	გავრცელდეს რელიგიური სექტანტობა	33.4
6	ხალხი აუჯანყდეს ხელისუფლებას	30.0
7	გაიზარდოს ძალადობა და დანაშაული	22.0
8	მოხდეს კონფლიქტი ეროვნულ ნიადაგზე	18.8
9	მოხდეს კონფლიქტი რელიგიის ნიადაგზე	15.8
10	გაიზარდოს დაავადებთა რიცხვი (შიდსი, ტუბერკულოზი, კიბო და ა.შ.)	9.7
11	გაიზარდოს კორუფცია	3.0


ასაკობრივი განსხვავება გამოიკვეთა მხოლოდ ორი საფრთხის ქართულ ტრადიციების დაკარგვისა და რელიგიური სექტანტობის გავრცელების მიმართებაში.

ორივე შემთხვევაში ყველაზე ნაკლებ შეშფოთებას გამოთქვავენ პირველი (29.9 პროცენტი ქართული ტრადიციების დაკარგვასთან და 21.7 პროცენტი რელიგიურ სექტანტობასთან მიმართებაში) და შემდეგ მეოთხე ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები (41.0 პროცენტი ქართული ტრადიციების დაკარგვასთან და 34.7 პროცენტი რელიგიურ სექტანტობასთან მიმართებაში).

როგორც ეს ცხრილებიდან 12 და 13-დან ჩანს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგრადი მიმართა პრობლემად და საფრთხეედ აღიქმება მოსახლეობის მიერ და წინ უსწრებს ისეთ პრობლემასაც კი, როგორიცაა ქვეყნის უსაფრთხოება.

გამოკითხულთა უმრავლესობა (71.6 პროცენტი) საკუთარ ოჯახს არც ღარიბად და არც შეძლებულად მიიჩნევს. ერთ მეოთხედს (25.9 პროცენტი) იგი ღარიბად, ხოლო

2.5 პროცენტს შემდებულად მიაჩნია. უმრავლესობა (56.3 პროცენტი) ფიქრობს, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში მისი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა არ შეცვლილა, 28.2 პროცენტი მიუთითებს, რომ იგი გაუარესდა, ხოლო 15.5 პროცენტი, რომ გაუმჯობესდა. მიუხედავად ასეთი შეფასებისა, მაღალია ეკონომიკური ოპტიმიზმი. თითქმის ნახევარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ერთ წელიწადში და ნახევარზე მეტი სამ წელიწადში ელის.




ნახ. 22
ეკონომიკური მდგომარეობი წინა წელთან შედარებით, და მოლოდინი 1 და 3 წლის პერიოდში

ოჯახების შემოსავალი ძალზე მწირია, ნახევარზე მეტის (59.3 პროცენტი) შემოსავალი 2009 წლის ნოემბერში არ აღემატებოდა 300 ლარს. 25.8 პროცენტის იყო 300-დან 500 ლარამდე, 500 ლარიდან 1000 ლარამდე შემოსავალი ქონდა გამოკითხულთა ოჯახების 10.6 პროცენტს, ხოლო 1000 ლარზე მეტი 4.3 პროცენტს. უხეში გამოთვლებით გამოკითხულთა ოჯახების ერთ წევრზე საშუალოდ მოდიოდა თვეში 86 ლარი. მცირე შემოსავლის მიუხედავად უმრავლესობა, როგორც ბეჭოთ ავღნიშნეთ საკუთარ იჯახს დარიბად არ მიიჩნევს. ოჯახის მატერიალური კეთილდღეობა რასაკვირველია მხოლოდ უულადი შემოსავალით არ განისაზღვრება. შემოსავალის მნიშვნელოვან წყაროს შეიძლება წამოადგენდეს ნაკვეთზე მოყვანილი მოსავალი ან შრომის გასამრჯელოდ მიღებული საკვები პროდუქტი. მაგრამ ამ მხრივაც არ აღმოჩნდა კარგი მდგომარეობა. რესპონდენტთა ნახევარს (52.0 პრო-

ცენტი) არ ქონდა საკვები პროდუქტების უსასყიდლოდ მიღების საშუალება.

ის, რომ უმუშევრობა ქვეყნის ძირითად პრობლემას წარმოადგენს არეკლილია რესპონდენტთა შორის უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელში. გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 68.6 პროცენტი უმუშევარია. მათი წილი ოდნავ კლებულობს და უდრის 64.9 პროცენტს იმ შემთხვევაში, როდესაც მხედველობაში არ ვიღებთ მეოთხე ასაკობივი ჯგუფის წარმომადგენლებს, რომლებიც პენსიონერები არიან.


უმუშევართა შორის დიდი ნაწილი ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს სამსახურს.



ნახ. 23

დაუსაქმებლობის სტრუქტურა

მათგან, ვინც დასაქმებულია თითქმის ნახევარი სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომელია.




ნახ. 24

დასაქმების სტრუქტურა

ოჯახის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს ოჯახიდან სამუშაოდ წასული წევრის უულადი გზავნილები წარმოადგენს. გამოკითხულთა 13.1 პროცენტმა მიუთითა, რომ მისი ოჯახის წევრი (141 კაცი და 17 ქალი) სამუშაოდ არის წასული საზღვარგარეთ. აქედან 70.5 პროცენტმა აღნიშნა, რომ მათგან ღებულობს მაგერიალურ დახმარებას.

კიდევ 6.8 პროცენტმა აღნიშნა, რომ ოჯახის წევრი (61 კაცი და 7 ქალი) სამუშაოდ არის წასული საქართველოს სხვა ქალაქსა თუ სოფელში. მათგან 68.1 პროცენტმა მიუთითა, რომ წასული ოჯახის წევრისაგან ღებულობს დახმარებას.


გამოკითხულთა ძალგე მცირე ნაწილმა (26.9 პროცენტმა) მიუთითა, რომ მის ოჯახს აქვს ისეთი სამუალება, რომელსაც ის შემოსავლის მისაღებად იყენებს. უმეტესობას აქვს ჯიხური, კომერციული ფართი ან მიწის ნაკვეთი. გამოკითხულთა 48.2 პროცენტს ყავს ფრინველი და/ან მსხვილფეხი საქონელი. გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს მფლობელობი აქვს სახლი ან ბინა, რომელშიც ცხოვრობს, ფერადი ტელევიზორი, მაცივარი და მიწის ნაკვეთი.



ნახ. 25

ოჯახის საკუთრება

ოჯახის პრობლემებიდან ყველაზე მწვავეა უფულობა და მასთ 6 დაკავშირებული უმუშევრობა.



ნახ. 26

პირადი და საოჯახო პრობლემები

ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემები ძირითადად აგვისტოს ომის შედეგებთან არის დაკავშირებული. მწვავე საკითხად რჩება რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, რუსული ჯარის საქართველოს ფერიცორიაზე ყოფნა და რუსეთის შესაძლო აგრესია.

აღსანიშნავია, რომ 58.0 პროცენტიდან 2008 წელს, 48.0 პროცენტიდე 2009 წელს დაიკლო იმ რესპონდენტთა რაოდენობამ, ვისაც ომის თავიდან აცილება შესაძლებლად მიაჩნია. 15.1 პროცენტს 2008 წელს და 21.4 პროცენტს 2009 წელს ეს არ მიაჩნდა შესაძლებლად, ხოლო 22.9 პროცენტს 2008 წელს და 30.6 პროცენტს 2009 წელს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა). საერთაშორისო ფაქტების მოძიების კომისიის, რომელიც ხშირად მოიხსენიება, როგორც ფალიავინის კომისია დასკვნის შესახებ ინფორმირებული აღმოჩნდა გამოკითხულთა 59.1 პროცენტი. მათგან, ვისაც ქონდა დასკვნის შესახებ ინფორმაცია, 30.1 პროცენტმა იგი შეაფასა, როგორც უფრო ზუსტი, 25.1 პროცენტმა როგორც უფრო არაზუსტი, ხოლო 44.9 პროცენტს გაუჭირდა შეფასების გაკეთება. ასაკობრივი განსხვავება გამოიკვეთა მათთან, ვინც ინფორმირებული არ იყო დასკვნის თაობაზე-ნაკლებად იყვნენ ინფორმირებული მეოთხე (50.9 პროცენტი) და პირველი (48.1 პროცენტი) ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტები.


მათგან, ვინც ინფორმირებული იყო დასკვნის თაობაზე მიუთითა, რომ დასკვნა ბრალს თანაბრად სდებს რუსეთსა და საქართველოს (35.0 პროცენტი), 16.9 პროცენტს მიაჩნია, რომ დასკვნა ბრალს ძირითადად საქართველოს, ხოლო 15.6 პროცენტს, რომ რუსეთს სდებს. გამოკითხულთა დიდ ნაწილს (32.5 პროცენტს) უჭირს შეაფსების გაკეთება.

მოსახლეობა არ არის ერთსულოვანი რუსეთის აგრესის მოსალოდნელ საფრთხის შეფასებაში. გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი (41.4 პროცენტი) არ ელის

უახლოეს ერთ წელიწადში რუსეთის აგრესიას, 31.3 პროცენტს იგი შესაძლებლად მიაჩნია, ხოლო 27.3 პროცენტს არ აქვს ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია. ბევრად უფრო მკაფიოდ არის გამოკვეთილია პოზიცია აფხაზებთან და ოსებთან თანაცხოვრების თაობაზე. გამოკითხულთა დიდ ნაწილს (70.1 პროცენტი) შესაძლებლად მიაჩნია ქართველების აფხაზებთან და კიდევ უფრო დიდ ნაწილს (74.4 პროცენტი) ოსებთან თანაცხოვრება.

გამოკითხულთა დიდი ნაწილი საკმაოდ პესიმისტურად არის განწყობილი 2008 წლის ომის შედეგად ლტოლვილი მოსახლეობის უახლოეს სამ წელიწადში საკუთარ სოფლებში დაბრუნების თაობაზე. დაბრუნება სამხრეთ ოსეთში არ მიაჩნია შესაძლებლად გამოკითხულთა 38.2 პროცენტს, ხოლო კოდორის ხეობაში 39.0 პროცენტს. თუმცა უფრო დიდ ნაწილს, 41.7 პროცენტს სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში და 43.0 პროცენტს კოდორის ხეობასთან მიმართებაში, უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა, და მხოლოდ 20.1 პროცენტს მიაჩნია შესაძლებლად დაბრუნება სამხრეთ ოსეთში და 18.0 პროცენტს კოდორის ხეობაში.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტს უჭირს იმის თქმა თუ როდის შეიძლება აფხაზეთი (50.6 პროცენტს) და ოსეთი (51.5 პროცენტი), ისევ გახდეს საქართველოს ნაწილი.



ნახ. 27

აფხაზეთისა და ოსეთის საქართველოსთან გაერთიანების შესაძლო დრო

დამოკიდებულება აფხაზეთისა და ოსეთის საქართველოსთან გაერთიანების გზების თაობაზე ერთნაირია. ორივე შემთხვევაში ძალგე უმნიშვნელო ნაწილი (5.0

პროცენტი აფხაზეთის და 4.0 პროცენტი თსეთის შემთხვევაში) უჭერს მხარს ძალის გამოყენებას. ყველაზე ეფექტურ საშუალებებად კი მოსახლეობა მიიჩნევს პირდაპირ მოლაპარაკებების წარმოებას აფხაზებთან და თსებთან, ასევე მოლაპარაკებებს რუსეთთან. ეფექტურად არის მიჩნეული საქართველოს შემაღენლობაში ყოფნის მომხიბლაობის გაზრდა საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის გაზრდის მეშვეობით და დემოკრატიის განვითარებისა და უმცირესობების ინტერესების დაცვის გზით.

ცხრილი 14

აფხაზეთისა და თსეთის საქართველოსთან გაერთიანებისათვის მიმართული ქმედებების ეფექტურობა

	ეფექტური ქმედებები	აფხაზეთთან მიმართებაში %	თსეთთან მიმართებაში %
1	აფხაზებთან/თსებთან პირდაპირი მოლაპარაკება	72.2	73.5
2	რუსეთთან მოლაპარაკება	66.2	66.6
3	უცხო ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევა	57.6	58.4
4	ძალის გამოყენება	5.0	4.0
5	საქართველოს შემაღენლობაში ყოფნის მომხიბლაობის გაზრდა, საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის გაზრდის მეშვეობით	63.3	63.2
6	საქართველოს შემაღენლობაში ყოფნის მომხიბლაობის გაზრდა, საქართველოს დემოკრატიის განვითარებასა და უმცირესობის ინტერესების დაცვის გაზრდით	60.9	61.1
7	საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება	50.6	51.4
8	საქართველოს ეკონომიკური გაწევრიანება	59.0	58.3

საგარეო ორიენტირები

გამოკითხულთა 34.7 პროცენტს მიაჩნია, რომ საქართველოს მომავალი ძირითადად საქართველოზე დამოკიდებული, ოდნავ ნაკლებს კი (31.9 პროცენტი) ერთნაირად საქართველოსა და სხვა ქვეყნებზე, ხოლო 20.6 პროცენტს ძირითადად სხვა ქვეყნებზე დამოკიდებული მიაჩნია (12.8 პროცენტს გაუჭირდა გარკვეული პასუხის გაცემა). ამასთან მიმართებაში გამოიკვეთა ასაკობრივი განსხვავება. ქვეყნის მომავალი საქართველოზე დამოკიდებული ყველაზე მეტად პირველი (40.5 პროცენტი) და მეოთხე (40.4 პროცენტი) ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტებს მიაჩნიათ.


უმრავლესობას (65.0 პროცენტს) მიაჩნია, რომ საქართველო უნდა ისწრაფოდეს

ჩრდილო-აგლობიური ხელშეკრულების ორგანიზაციის „ნაფო“-ს წევრი, კიდევ უფრო მეტს (82.8 პროცენტს) სასურველად მიჩნია ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანება. ნაფო-ში გაერთიანებასთან მიმართებაში გამკვეთილია ასაკობრივი განსხვავება. გაწევრიანების მომხრეთა წილი კლებულობს ასაკთან ერთად. 73.6 პროცენტი პირველ, 69.2 პროცენტი მეორე, 60.6 პროცენტი მესამე, და 57.9 პროცენტი მეოთხე ასაკობრივ ჯგუფებში.

რუსეთსა და ამერიკას შორის ქვეყნის სასურველი ორიენტაციიდან უმრავლესობა (54.1 პროცენტი) ა.შ.შ.-ს იღჩევს. ამასთან ამერიკაზე ორიენტაციის მომხრეთა წილი კლებულობს ასაკთან ერთად (61.1 პროცენტი პირველ, 57.6 პროცენტი მეორე, 52.4 პროცენტი მესამე და 44.2 პროცენტი მეოთხე ასაკობრივ ჯგუფებში).

ა.შ.შ.-ს მხარდაჭერა უფრო მეტად არის აღქმული, როგორც ხელისუფლების (48.6 პროცენტი) და ნაკლებად, როგორც საქართველოს, როგორც სახელმწიფოს მიმართ გამოხატული მხარდაჭერა (25.9 პროცენტი). 0.6 პროცენტი მიიჩნევს რომ ამერიკა მხარს უჭერს ოპოზიციას, ხოლო 20.0 პროცენტს არ აქვს გამოკვეთილი პოზიცია.

საქართველოს მეგობარ ქვეყნებად ყველაზე მეტი რესპონძენტი ევროკავშირის ქვეყნებსა (75.5 პროცენტი) და ა.შ.შ.-ს (66.7 პროცენტი) მიიჩნევს.



ნახ. 26

ქვეყნები და გაერთიანებები, ვისი იმედიც შეიძლება ქონდეს საქართველოს

ამგვარად გამოკითხვაში აისახა მოსახლეობის უნდობლობა სახელმწიფო სფრუქ-გურების მიმართ. მათდამი ნდობა ასაკთან ერთად მცირდება. ხალხი ყველაზე მეტად ქართულ მართლმადიდებულ ეკლესიას ენდობა. მოსახლეობის ძირითად საზრუნვეს სიღარიბე, უსაფრთხოება და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა, მრავალი ოჯახი მისი

სამუშაოდ წასული წევრის გზავნილებით იტჩენს თავს. მცირეა ოპტიმიზმი უახლოეს წლებში 2008 წლის ომის შედეგად დევნილი მოსახლეობის საკუთარ სოფლებში დაბრუნების მიმართ, თუმცა მოსახლეობა თითქმის ერთსულოვნად წინააღმდეგია მათ დასაბრუნებლად ძალის გამოყენების. კონფლიქტის მოგვარების ეფექტურ გზად ოსებთან, აფხაზებთან და რუსებთან პირდაპირი მოლაპარაკებების წარმოებაა მიჩნეული.

საქართველოს რუსეთსა ან ა.შ.შ.-ზე ორიენტაციას შორის მოსახლეობა ამერიკაზე ორიენტაციას ანიჭებს უპირატესობას. ამერიკაზე ორიენტაციის მომხრეთა წილი ასაკთან ერთად კლებულობს. ა.შ.შ.-ს მხარდაჭერა უფრო მეტად არის აღქმული, როგორც საქართველოს ხელისუფლების, ვიდრე საქართველოს, როგორც სახელმწიფოს დახმარება.

7. ასაკი და მონაწილეობა

გამოკითხვის მონაცემების ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში განხილვამ რიგი განსხვავებები წარმოაჩინა.

საბოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიხედვით ყველაზე დიდი აქტიონით 25-44 წლის რესპონდენტები გამოირჩევიან.

არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობადობა და მათი მომხიბლაობა უფრო დიდია ახალგაზრდებს შორის.

ოპტიმიზმი, ბეღნიერების განცდა და თვით-შეფასება ასაკთან ერთად კლებულობს, ისევე როგორც განათლების, სამსახურის, მეგობრობის, რელიგიის, პიროვნული დამოუკიდებლობის და თავისუფალი დროის მნიშვნელობა. უფროსი ასაკის რესპონდენტებთან შედარებით ახალგაზრდები ასევე უფრო მეტად ანიჭებენ უპირატესობას ასეგ-მატერიალისფურ ღირებულებებს.

უნდობლობა და ნიპილიზმი განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდებში. ხელისუფლების მომხრეთა წილი უფრო დიდია 25-44 წლის, ხოლო ოპოზიციის მომხრეთა წილი კი 45-64 წლის რესპონდენტებს შორის.

ასაკთან ერთად იზრდება უნდობლობა სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ.

საქართველოს ამერიკაზე ორიენტაციის მომხრეთა წილი ასაკთან ერთად კლებულობს.

8. მონაწილეობა და მისი განხორციელების შესაძლებლობის აღქმა

დემოკრატიის ცენტრალურ კომპონენტს სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეების მონაწილეობა წარმოადგენს. კითხვარში ორი კითხვა შეეხებოდა მონაწილეობას, ერთი იკვლევდა მის აუცილებლობის მიმართ დამოკიდებულებას – „საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრა მხოლოდ მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობით არის შესაძლებელი, თუ ეს მათი მონაწილეობის გარეშეც მოხერხდება?“ ხოლო მეორე პიროვნული ეფექტურობის განცდას – „შეუძლია თუ არა თქვენაირ ადამიანს ბეგავლენა მოახდინოს მთავრობის გადაწყვეტილებებები?“ გამოკვეთილი პოზიცია თრივე კითხვაზე დააფიქსირა გამოკითხულთა 74.5 პროცენტი (820 რესპონდენტი). ამ ორ კითხვაზე მიღებული პასუხების მიხედვით ეს 820 რესპონდენტი ოთხიდან ერთ-ერთ ჯგუფს იქნა მიკუთვნებული:

ჯგუფი 1: 19.8 პროცენტი (ეფექტურები). ამ ჯგუფის წევრებს მონაწილეობა აუცილებლად მიაჩნიათ. ისინი ამავდროულად თვლიან, რომ შეუძლიათ ზეგავლენა მთახდინონ მთავრობის გადაწყვეტილებებზე.

ჯგუფი 2: 50.2 პროცენტი (უძლურები). ამ ჯგუფის წევრებს მონაწილეობა აუცილებლად მიაჩნიათ, მაგრამ თვლიან, რომ არ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა მთავრობის გადაწყვეტილებებზე.

ჯგუფი 3: 25.0 პროცენტი (ინდივერუნტულები). ამ ჯგუფის წევრებს მონაწილეობა აუცილებლად არ მიაჩნიათ და ისინი ასევე თვლიან, რომ არ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა მთავრობის გადაწყვეტილებებზე.

ჯგუფი 4: 5.0 პროცენტი. ამ ჯგუფის წევრებს მონაწილეობა აუცილებლად არ მიაჩნიათ, თუმცა თვლიან, რომ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა მთავრობის გადაწყვეტილებებზე.

შედეგების ინგერარეტაციის გამარტივების მიზნით შემდგომი ანალიზში არ იქნა შეყვანილი რესპონდენტთა მეოთხე, ყველაზე მცირებიცხოვანი ჯგუფი. ქვემოთ, იქ სადაც ლაპარაკია ჯგუფებს შორის განსხვავებაზე ეს განსხვავება სტატისტიკურად სანდოა ($p < .001$, $.005$ ან $.05$).

შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ „უძლურები“ ანუ ისინი ვისაც მონაწილეობა აუცილებლად მიაჩნია, მაგრამ არ აქვს იმის განცდა, რომ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა მთავრობის გადაწყვეტილებებზე მოსახლეობის ნახევარს წარმოადგენს.

ზოგადად ცნობილია, რომ საბოლოო ასაკთან, სქესთან და განათლებასთან არის დაკავშირებული. გამოკვლევაში არ დადასტურდა ზემოთ ჩამოყალიბებული ჯგუფების კავშირი ასაკსა და სქესთან, მაგრამ გამოიკვეთა კავშირი განათლების დონესთან. უმაღლესი განათლების მქონეთა დიდი წილი „ეფექტურთა“ ჯგუფშია თავმოყრილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მონაწილეობას და თვლიან, რომ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე. ამ ჯგუფში ყველაზე მაღალია ასევე დასაქმებულთა წილი (41.2 პროცენტი), „უძლურების“ (29.7 პროცენტი) და „ინდიფერენტულების“ (31.0 პროცენტი) ჯგუფებთან შედარებით. დასაქმებასთან არის დაკავშირებული სიღარიბეც და ამიღომ გასაკვირია არ არის, რომ „ეფექტურთა“ ჯგუფში უფრო მეტია საშუალო შეძლების მქონე რესპონდენტი (84.6 პროცენტი), შედარებით „უძლურებთან“ (68.0 პროცენტი) და „ინდიფერენტულებთან“ (70.1 პროცენტი).

მონაწილეობა დემოკრატიის ქვაკუთხედს წარმოადგენს და ამდენად ლოღიკურია, რომ მეორე, „უძლურთა“ ჯგუფის რესპონდენტებს შორის ყველაზე მცირეა იმ ადამიანთა წილი, ვისაც მიაჩნია, რომ საქართველოში არის დემოკრატია (26.5 პროცენტი). ასე ფიქრობს პირველი ჯგუფის 36.6 და მესამე, „ინდიფერენტულთა ჯგუფის“ 41.2 პროცენტი. მოთხოვნა მონაწილეობაზე ასევე უფრო დიდია მეორე ჯგუფის რესპონდენტებთან. ამ ჯგუფის წევრთა 83.1 პროცენტს უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ პრეზიდენტი უსმენდეს ხალხს და აკეთებდეს იმას, რასაც ხალხი მისგან მოითხოვს. ასე ფიქრობს პირველი ჯგუფის 75.0 და მესამე ჯგუფის 65.8 პროცენტი.

პირველი ჯგუფის რესპონდენტების ყველაზე დიდ ნაწილს (49.4 პროცენტს) მიაჩნია, რომ ხელისუფლება ძირითადად ითვალისწინებს ხალხის მოთხოვნებს. ასე


ფიქრობს მეთოდების 27.0 და მესამე ჯგუფის 24.9 პროცენტი. „ეფექტურების“ ასევე ყველაზე დიდ ნაწილს (90.7 პროცენტი) მმართველობის საუკეთესო ფორმად დემოკრატია მიაჩნია. ასე ფიქრობს „უძლურების“ 79.4 და „ინდიფერენტულების“ 76.7 პროცენტი.

პირველი ჯგუფი სხვებისგან აქტიურობითაც გამოირჩევა. 24.2 პროცენტმა აღნიშნა, რომ წვლილი შეიგანა საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის კეთებაში.

მეორე ჯგუფში ეს აღნიშნა 11.4 პროცენტმა და მესამეში 12.4 პროცენტმა. კოლექტიურ აქციებში მონაწილეობა მიღებული უფრო პირველ (8.7 პროცენტი), ვიდრე მეორე (4.4 პროცენტი) ან მესამე ჯგუფის წარმომადგენლებს (3.0 პროცენტი) აქვთ.

გასაკვირი არ არის ის, რომ „ინდიფერენტულების“ ჯგუფთან (21.7 პროცენტი) შედარებით, პირველი (36.2 პროცენტი) და მეორე ჯგუფის (36.5 პროცენტი) წევრები უფრო მეტად არიან დაინტერესებული პოლიტიკით. ისინი ასევე უფრო მეტად აღევნებენ თვალყურს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს (53.9 პროცენტი პირველ და 52.4 პროცენტი მეორე ჯგუფში და 37.8 პროცენტი მესამე ჯგუფში).


პირველი ჯგუფის რესპონდენტები უფრო მეტ მხარდაჭერას უცხადებენ ხელისუფლებას. ჯგუფის ყველაზე დიდი წილი მოდის ხელისუფლების მომხრეებზე (47.5 პროცენტი), ხოლო მეორე (41.4 პროცენტი) და მესამე (43.3 პროცენტი) ჯგუფებში მათგე, ვინც არცერთ პოლიტიკურ ძალას არ უჭერს მხარს.



ნახ. 27

პოლიტიკურ ძალათა მხარდაჭერა ჯგუფებში

ცხოვრების ხარისხიც უფრო მაღალი პირველ ჯგუფშია. ნახ. 28-დან ჩანს, რომ პირველი ჯგუფის რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი არის საკუთარ თავში დარწმუნებული და ოპტიმისტურად განწყობილი, უფრო მეტი გამოხატავს ნდობას სხვა ადამიანების მიმართ.



ნახ.28

ცხოვრების ხარისხი ჯგუფებში

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ უძლურობის განცდა და ინდიფერენციული დამოკიდებულება უართედ არის გავრცელებული მოსახლეობაში. ძალგე ცოგაა იმ ადამიანთა წილი, ვინც თავს საზოგადოების ისეთ წევრად მიიჩნევს, რომელსაც ზე-გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ადამიანები, რომლებიც თავს ეფე-ქცურად მიიჩნევენ უფრო წარმატებული არიან, მათ უფრო ხშირად აქვთ უმაღლესი განათლება, სამსახური და საარსებო მინიმუმი მაინც. ეს ჯგუფი მრავალ ასპექტში მკვეთრად განსხვავდება დანარჩენი ორი ჯგუფისაგან. ერთადერთი, რაც საერთო აქვთ პირველ და მეორე ჯგუფებს და განსხვავებული მესამისაგან, ეს არის ინგერესი პოლიგიკის და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ. მეორე და მესამე ჯგუფები უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან მრავალი მაჩვენებლისა და დამოკიდებულების მიხედვით. პირველი ჯგუფი უფრო აქტიურია, მეორე და მესამე კი უფრო უკმაყ-ოფილო და პასიური. ორივე მიიჩნევს, რომ ხელისუფლება არ ითვალისწინებს მათ აზრს. ისინი ნაკლებ ნდობას უცხადებენ სხვებს, ნაკლებ თაგიმისტურად არის გან-წყობილი. თუმცა არის ერთი ძირეული რამ, რაც ამ ორ ჯგუფს ერთმანეთისგან განასხვავებს - მეორე ჯგუფს უნდა არსებული მდგომარეობის შეცვლა, მესამეს კი არა.

ამდენად გამოკითხვით გამოიკვეთა, ის, რომ მოსახლეობისათვის დემოკრატია მნიშვნელოვან დირებულებას წარმოადგენს და, რომ დიდია მოთხოვნა დემოკრატიული პრინციპების განხორციელებაზე, მაგრამ ძალგე დაბალია მათი განხ-ორციელების დონე. მონაწილეობის აუცილებლობის და საკუთარი ეფექტურობის შე-

ფასებებზე დაყრდნობით გამოკვეთილი სამი ჯგუფის – „ეფექტურების“, „უძლურების“ და „ინდიფერენტულები“-ს შედარებით ცხადი გახდა, რომ მოსახლეობის მხოლოდ ძალგე მცირე ნაწილი, ერთი მეხუთედი ფიქრობს, რომ ზეგავლენას ახდენს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე.

9.დასკვნა

კვლევამ წარმოაჩინა ქვეყანაში ზოგადად დემოკრატიული პრაქტიკის დეფიციტი, სამოქალაქო საზოგადოების ხილვადობის სიმცირე და მოქალაქეების სამოქალაქო აქტიურობის დაბალი დონე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დემოკრატი მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, როდესაც ძალაუფლება ხალხის ხელშია, და ხალხის ხმა გაგონილია. დემოკრატიული ღირებულებების აღიარება ცალსახად დადგებითი და წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ როგორც ველცელი და ინგლეშპრენგი მიუთითებენ დემოკრატიისადმი გამოხატული სიცყვიერი მხარდაჭერა ხშირად ასახავს მხოლოდ ადამიანის სურვილს დადგებითად წარმოაჩინოს საკუთარი თავი და არა ღრმად გამჯდარ ორიენტაციას ან მოგივაციას. ლიბერალური დემოკრატია ეყრდნობა ხალხის ხმას, განსხვავებით ისეთი ცრუ დემოკრატიებისა, როგორიცაა არჩევითი დემოკრატია, ჰიბრიდული დემოკრატია ან ავტორიტარული დემოკრატია, სადაც ხალხის ზეგავლენა უგულველყოფილია პოლიტიკური ელიტის მიერ (Welzel & Inglehart, 2008).

სოციალური ნდობა და ცხოვრებით კმაყოფილება, რომლის ერთერთ კომპონენტსაც საკუთარი ეფექტურობის განცდა წარმოადგენს, ქვეყანაში დემოკრატიის არსებული დონის მაჩვენებელი და სახელმწიფოს სფაბილობის გარანტია. ამდენად

უკმაყოფილო ადამიანების ის დიდი რაოდენობა, ვინც თავს უძლურად გრძნობს ზეგავლენა მოახდინოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ემუქრება ქვეყნის სფაბილურობას. აუცილებელია ქვეყანაში სოციალური ნდობის, საზოგადოებრივი აქტიობის და ტოლერანტობის დამკვიდრება. ცხადია, რომ ამის გაკეთება ბევრად უფრო ადგილია ხელისუფლების ხელშეწყობით, მაგრამ მათი კულტივირება პოლიტიკური ელიტის ნების არ არსებობის შემთვევაშიც არის შესაძლებელია. ვფიქრობთ, რომ სწორედ აქ იკვეთება სამოქალაქო საზოგადოების როლი. მან ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, უნდა მოიპოვოს ყველა ის რესურსი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ხელისუფლებაზე ზემოქმედების მოხდენა ქვეყანაში ჭეშმარიტი, ლიბერალური დემოკრატიის დასამკვიდრებლად.

ბიბლიოგრაფია

Converse, Ph., & Niemi, R. (1971). Nonvoting among young adults in United States. In : W.J.Crotty., D.M.Freeman., & D.S.Gatlin (Eds). Political Parties and Political Behavior. Boston: Alltyn & Bacon. Pp.443-466.

Gant, M.M., & Luttbeg, N.R. (1991). American Electoral Behavior. Itasca, Ill:Peacock Publishers.

Rossteutscher, S. (2008). Social capital and civic engagement: a comparative perspective. In: D.Castiglione., J.W.Van Deth., G.Wolleb (Eds.). The Handbook of Social Capital. Oxford: Oxford University Press.

Taylor,Sh.E., Peplau,L.A., & Sears,D.O. (1994). Social Psychology. Englewood cliffs, N.J.: Prentice Hall

Welzel, Ch., & Inglehart, R. (2008). The role of ordinary people in democratization. Journal of democracy. Vol.19, No1.